



# უკუკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უკუკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი № 6-7 (№180-181) ● სექტემბერი-ოქტომბერი 2016 წელი



19 სექტემბერს უკუკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი, 2016-2017, სასწავლო წელი დაიწყო. სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ტრადიციულად აწესი ჰიმნით გაიხსნა. ებოში შეკრებილ სტუდენტებს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ღვთაძე მიესალმა, თითოეულ მათგანს წარმატებული და წაყოფიერი სტუდენტობა უსურვა. სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებსა და პროფესორ მასწავლებლებს ქუთაისის მერმა შოთა მურდულიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დვალმაც მიულოცეს. უკუკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ 9 სტუდენტს, რომელთაც 100%-იანი სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს, აწესი ადმინისტრაციისაგან, ქალაქი ქუთაისის მერიისაგან, აწესი-ს პარტნიორი ორგანიზაციებისაგან: „ვი-თი-ბი“ ბანკი, სადაზღვევო კომპანია „არდი“, „Microsoft“-ის წარმომადგენლობა საქართველოში ფასიანი სამსახსოვრო სანუქრები გადაეცათ. ცერემონიანი აწესი-ს ფოლკლორული ანსამბლების - „ადილასა“ და „კოლხას“ საკონცერტო ნომრებით დასრულდა.



\*\*\*

2016 წლის 22 სექტემბერს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა პროექტის - "ევროპეიზაცია სამხრეთ კავკასიაში: გარე ფაქტორების როლი" - შედეგების პრეზენტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, დავით აფრასიძემ და გიორგი გვალიამ ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს გააცნეს. კვლევის შედეგების თანახმად, რე-

გიონის ევროპეიზაციის პერსპექტივები მჭიდრო კავშირშია რეგიონული ფაქტორის, კერძოდ, რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან, რომლებიც განსხვავებული ინსტრუმენტების გამოყენების გზით უმეტესწილად ნეგატიურ გავლენას ახდენს რეგიონში მიმდინარე ევროპეიზაციის პროცესზე. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გაიმართა დისკუსია. პროექტი დააფინანსა კავკასიის შვეიცარულმა აკადემიურმა ქსელმა.



\*\*\*

22 სექტემბერს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მედიცინის ფაკულტეტის ორგანიზებით თეთრი ხალათების ცერემონიალი გაიმართა. შეხვედრა პირველკურსელებთან და მათ გულშემატკივრებთან ფაკულტეტის დეკანმა, ი.ფხაკაძემ პროფესიულ ასპექტებზე დასმული აქცენტებით დაიწყო... ექიმები! ვინ არიან ისინი? ადამიანები - ძლიერი ნერვებით, ზშირად სიმბოლური ანაზღაურებით, მაგრამ დიდი ადამიანობითა და თავგანწირვით... რატომ ატარებენ ისინი თეთრ ხალათებს? უხსოვარი დროიდან ექიმებს ცნობდნენ მათი პროფესიონალიზმის მიხედვით: ისინი გმირების ტოლფასნი იყვნენ

ხალხის თვალში. ჩვენ გვაქვს პრეტენზია ასეთი ექიმები მოვუშალოთ ჩვენს ქალაქსა და საქართველოს... ღონისძიებაზე სტუდენტებს მიესალმნენ რექტორი გიორგი ღვთიაძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კახა კუპატაძე, ხარისხის სამსახურის უფროსი ირმა გრძელიძე, აკადემიური პერსონალი ნ.ალავიძე, მ.ჩხობაძე. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა წარმატებული ნაბიჯების გაცნობა... შეხვედრა გააღმაზა ქართველი და უცხოელი სტუდენტების მუსიკალურმა შემოქმედებამ... ღონისძიება მედიცინის ფაკულტეტის ჰიმნის პრეზენტაციით დასრულდა.



\*\*\*

6 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ევროპის ნეკროლოგთა აკადემიის (EAN) რეგიონალური სასწავლო კურსი, რომელიც ორგანიზებულია აწსუ მედიცინის ფაკულტეტისა და სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ მიერ. ღონისძიება გახსნა ესენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორმა, ზაზა ქაცარავამ. დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - შოთა მურღულია, აწსუ რექტორის მაადგილე შალვა კირთაძე, საქართველოს სამედიცინო ჯგუფის გენერალური დირექტორის მოადგილე კლინიკური მიმართულებით გაიხსნა.

ღვთიაძე, როდესაც საქართველოში მწვავედ დგას უწყვეტი სამედიცინო განათლების აუცილებლობა, მსგავსი ღონისძიებები კიდევ უფრო აღრმავენ უნივერსიტეტის სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების ექიმთა ასოციაციებთან და აკადემიებთან ურთიერთთანამშრომლობას. ტრენინგ-კურსი, რომელშიც მონაწილეობს ორასზე მეტი საქართველოსა და ევროპის წამყვანი ექიმი, სამი დღის განმავლობაში გაგრძელდა.

\*\*\*

11 ოქტომბერს, პროფ. ვ.ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ ლოს პასოსის საქართველოს ასოციაციის ინიციატივით, შედგა ონლაინ საჯარო ლექცია დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან, ბატონ გელა დუმბაძესთან. ლექციის - „ღვევილის მამული საქართველოს დაუბრუნდა“, პირდაპირი ჩართვა უზრუნველყო სახელმწიფო მინისტრის აპარატის ტექნიკურმა ჯგუფმა, რომლებიც ამ მისიით ჩამოვიდნენ უნივერსიტეტში. სახელმწიფო მინისტრს მიესალმნენ უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი გიორგი ღვთიაძე, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი, ასოც. პროფესორი ია იაშვილი, ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი მარიამ მარჯანიშვილი, რეზო ჩხეიძის საზოგადოების თავმჯდომარე ინეზა თოღუა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი მარინე მარჯანიშვილი. მინისტრს შეკითხვები დაუსვეს სტუდენტებმა. 23 სექტემბერს, საფრანგეთში ხელი მოეწერა შატო ლევილის საქართველოს სახელმწიფოსათვის გადაცემის ისტორიულ დოკუმენტს. მამული, რომელიც ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ შეიძინა 1923

წელს, პარიზიდან 37 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. საბჭოთა პერიოდში, საქართველოსათვის კუთვნილი 4 ჰა მიწის ამ ფართის გადაცემა უამრავ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ, ამ საკითხს რეზო თაბუკაშვილი აყენებდა. 1990 წლების შემდეგ გურამ შარაძის არაერთგზის მონღოების მიუხედავად, პრობლემა ადგილიდან ვერ დაიძრა. საბოლოოდ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის დიდი ძალისხმევით შედეგად, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და შატო ლევილი მის კანონიერ მემკვიდრეს, საქართველოს დაუბრუნდა. საფრანგეთის მთავრობა თანახმაა გამოეცხადოს 5,6 მლნ. ევრო სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, რის შემდეგაც ქართველთა ფრანგული სავანე ახალ ფუნქციას შეიძენს. როგორც ბატონმა გელა დუმბაძემ განაცხადა, ქართველ სტუდენტებს მიეცემათ საშუალება იქ აკადემიური საქმიანობისა - გაეცნონ ისტორიულ დოკუმენტებს, გამართონ კონფერენციები და ა.შ. ამერიკის შესწავლის ცენტრი მადლობას უხდის დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრსა და აწსუ-ს ადმინისტრაციას მხარდაჭერისათვის.



\*\*\*

2016 წლის 4 ოქტომბერს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ახალი საბიბლიოთეო კორპუსის პრეზენტაცია. ღონისძიება, რომელსაც აწსუ თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ერთად საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ, უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი ღვთიაძემ გახსნა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, გიორგი ჭიჭინაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია - „აწსუ ბიბლიოთეკის ისტორია და განვითარების პერსპექტივები“. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე. ამავე ღონისძიებაზე „მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი 2016“-ის მონაწილეებს გადაეცათ სიგელები. აწსუ V კორპუსის ღია სივრცეში ასევე წარმოდგენილი იყო: - აწსუ FabLab-ის გამოფენა; - ძველნაბეჭდ და უნიკალურ გამოცემათა გამოფენა; - ესტონეთის ბიზნეს სკოლისა და აწსუ-ს ერთობლივი პროექტის - „ბიზნეს იდეის განვითარება“ ბეჭდური მასალა. ღონისძიება დაასრულა აწსუ ფოლკლორულმა ანსამბლმა „ადილამ“.





ხსოვნა სიცოცხლის გავრძელება

# ლაზვიანაული ინფორმაცია



ისევ წვიმანარევი გათენდა 10 ივნისის დღეა, მაგრამ პუბლიკარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყვავილებით ხელდაამყენებელი სტუდენტობა უნივერსიტეტის ჭიშკართან მაინც შეიკრება მწვანეყვავილას პანიონში გასამგზავრებლად. ამ დღეს სტუდენტები პატივს მიაგებდნენ აწ გარდაცვლილი პროფესორის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის, ენათმეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნის, ქართული ლიტერატურის ისტორიის მემატიანის, ბ-ნი მიხეილ ალავედის ნათელ ხსოვნას. მას ხომ 100 წელი შეუსრულდა. 20 წლის წინ ის ტრაგიკულად დაიღუპა. რომ არა უბედური შემთხვევა, შეიძლება, ის დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. როცა ბ-ნი მიხეილი გარდაიცვალა, მამინ ის 80 წლის იყო, მაგრამ მისი გონება ახალგაზრდულად მუშაობდა და ცხოვრების ყველა ფერხულში ყოფილა.

სტუდენტებთან ერთად მწვანეყვავილას პანიონში ბ-ნი მიხეილის საფლავი ყვავილებით შეამკეს პროფესორებმა: შალვა კირთაძემ, ლუკა დვალისძემ, ნინო ფხაკაძემ, რუსუდან საღინაძემ, იხილდა რუსაძემ, ლე-

ლა ჩოგოვაძემ, თენგიზ გუმბერიძემ, ელდარ თავბერიძემ, ვახტანგ თევლოძემ და სხვებმა.

ბ-ნი მიხეილის, როგორც ლექტორისა და პიროვნების, შესახებ სტუდენტებს ესაუბრნენ შალვა კირთაძე, ლუკა დვალისძე, რუსუდან საღინაძე, თენგიზ გუმბერიძე. იხილდა რუსაძემ, როგორც ბ-ნი მიხეილის ჯერ ყოფილმა სტუდენტმა და შემდეგ ქართული ენის მიმართულების თანამშრომელმა, ყურადღება გაამახვილა ბ-ნი მიხეილის სტუდენტობის დამოკიდებულებაზე. გაიხსენა ის დრო, როცა ლექტორ-მასწავლებლები ახალგაზრდების იდეურ წინადადებას ხრუნავდნენ, რომ ისინი არა მარტო ღირსეულ პედაგოგებად, არამედ კარგ ადამიანებადაც ჩამოყალიბებულიყვნენ, არ დაევიწყებინათ წინაპრები. და ეს დღეს ხომ ჩვენი წინაპრების ხსოვნის დღე იყო.

მავე დღეს უნივერსიტეტის „მწვანე დარბაზში“ სტუდენტებს მიესალმნენ და ბ-ნი მიხეილ ალავედის 100 წლის იუბილე მიულოცეს რ. საღინაძემ, მ. ქაცარავამ, შ. კირთაძემ,

ი. რუსაძემ და სხვებმა. საიუბილეო საღამო გააღმაზა ბ-ნი მიხეილის შვილიშვილის ეკატერინე იოსელიანის ჩამოსვლამ ამ ღონისძიებაზე დასასწრებად და მისმა გამოსვლამ სტუდენტების წინაშე. ახალგაზრდები ტანით შეცვებნენ მას. ქ-ნმა ეკატერინემ უნივერსიტეტს საჩუქრად გადასცა ლექტორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციაზე გადაღებული ვიდეო კასეტები, რომლებსაც მთელი კონფერენციის მსვლელობის დროს აჩვენებდნენ იმ სურათებთან ერთად, რომლებიც ბ-ნი მიხეილ ალავედის ცხოვრებასა და ღვაწლს ასახავდა. ამ სურათებზე ბ-ნი მიხეილის გვერდით გადაღებული იყვნენ პოეტი აკადემიკოსები, ქართველოლოგები, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები... „მწვანე დარბაზშივე“ გაიმართა ქართული ენის მიმართულებასთან არსებული საენათმეცნიერო წრის სხდომა, რომელიც მიჰყავდათ წრის თავმჯდომარეს, მეოთხე კურსის სტუდენტ მიხეილ აბულაძეს და მესამე კურსის სტუდენტ, წრის წევრ თამარ ქორიძეს. ამ დღეს დამსწრე საზოგადოებამ და სტუდენტობამ სიამოვნებით მოისმინეს

13 მოხსენება, რომლებიც წაიკითხეს უნივერსიტეტის პუბლიკარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II-III-IV კურსის საუკეთესო სტუდენტებმა ვახტანგ ენდელაძემ, სალომე ფოფხაძემ, რუსუდან კილაძემ, თონა ჯიქიძემ, ნათია ხახალიაშვილმა, ლოლა დარსაძემ, ნინო ობოლაძემ, თამარ ქორიძემ, ქეთი გელაშვილმა, ფიქრია ჭანტუიამ, მარგო გაგოშაშვილმა, ლეილა ბარბაქაძემ, დიანა კორძაძემ (მეცნიერ-ხელმძღვანელი ასოც. პროფესორი იხილდა რუსაძე).

სტუდენტმა დიანა კორძაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ბ-ნი მიხეილის ხსოვნა უკვდავია და, სანამ სტუდენტები ისწავლიან ბ-ნი მიხეილის წიგნებიდან, სანამ დაამუშავებენ მის დაწერილ სტატიებს ეტიმოლოგიასა თუ ლექსიკოგრაფიაში, ასევე საეტიმოლოგიაში, ბ-ნი მიხეილი მანამ იცოცხლებს. ამავე სტუდენტმა მადლობა გადაუხადა იმ ლექტორ-მასწავლებლებს, რომლებმაც იზრუნეს ბ-ნი მიხეილის მუშაობის პერიოდში — 60 წლის მანძილზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი სტატიების ცალკეულ წიგნებად გამოცემისათვის. სხვა შემთხვევაში სტუდენტებისათვის ყველა მასალა, რაც დღეს ჩვენთვის საპროგრამოა, ხელმეორეული იქნებოდა, — აღნიშნა მან.

კონფერენციაზე გამოსულმა სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ბ-ნი მ. ალავედის ნაშრომთა თემატიკიდან. ბ-ნი მ. ალავედის მრავალმხრივი შემოქმედი იყო. ასევე მრავალფეროვანი იყო სტუდენტთა თეორიული კონფერენციის პროგრამაც, თანაც თითოეული მათგანის დამუშავებული მოხსენება იყო მაღალი დონის, რისთვისაც სტუდენტები კონფერენციის დასასრულს უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებმა რექტორის ხელმოწერილი სიგელებით დაჯილდოვეს.

როგორც მწვანეყვავილას, ასევე „მწვანე დარბაზში“, გადაიღეს უამრავი სურათი. ეს ყველაფერი შეემატება და შეავსებს ბ-ნი მიხეილ ალავედის, როგორც საუკეთესო მეცნიერის, ლექტორისა და პიროვნების შესახებ, ისტორიას. თვით ბ-ნი მიხეილ ალავედემ ხომ ასეთი საქმეების მემატიანე იყო.

ლელა ჩოგოვაძე

## სლავისტიკის დეპარტამენტის წარმატებები რუსეთის საერთაშორისო ჟონაურსაზაზა



პუშკინის საერთაშორისო კონკურსი რუსული ენის პედაგოგებისათვის დაარსდა 2000 წელს გაზეთ «Российская газета»-ს რედაქციაში ჩატარებული მრგვალი მაგიდის «Моя родина – русский язык» შედეგების შეჯამების შემდეგ. ამავე წელს დაწესდა პუშკინის პრემია, როგორც ახლო და შორეული უცხოეთის ყველაზე ენერგიული და ნიჭიერი რუსისტი - პედაგოგების თავისებური ყოველწლიური საგრანტო მხარდაჭერა. პუშკინის კონკურსის ორგანიზატორი არის «Российская газета»-ს რედაქცია, რომელსაც მატერიალურ მხარდაჭერას უწევს მოსკოვის მთავრობა, ფონდი «Русский мир» და «Россотрудничество».

კონკურსის არსებობის მანძილზე მასში მონაწილეობა მიიღო ექვს ათასზე მეტმა პედაგოგმა, რომელთაგან 800 მასწავლებელი გახდა კონკურსის ლაურეატი და «Российская газета»-ს ექსპრტი თავიანთ ქვეყნებში რუსული ენის მდგომარეობის საკითხებში. პუშკინისა და ჩეხოვის, ტოლსტოისა და დოსტოევსკის ენის სწავლება ყოველთვის იყო პრესტიჟული, მაგრამ ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი პოლიტიკის მიღმა დგას,

ზოგიერთ ქვეყანაში ამ პროფესიამ მოითხოვა მისი სიმამაცე და საქმისადმი განსაკუთრებული ერთგულება.

ფინანსისტების მოსკოვში მიწვევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს კონკურსის ორგანიზატორები საკუთარ თავზე იღებენ, ამის გარდა ლაურეატებს გადაეცემათ ფულადი პრემია. შედეგების შეჯამება, 50 ფინანსისტის გამოვლენა და მათი გვარების გამოქვეყნება «Российская газета»-ს საიტზე ხდება ყოველი წლის 6 ივნისს — ა.ს. პუშკინის დაბადების დღეს. კონკურსში გამარჯვებულ 50 ლაურეატი სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩადის მოსკოვში, როცა იქ იმართება ქალაქის დღესთან დაკავშირებული სახეიმი ღონისძიებები.

კონკურსის მონაწილე შემოღობა გახდეს ნებისმიერი რუსისტი—პედაგოგი ახლო და შორეული უცხოეთიდან. კონკურსში გასამარჯვებლად საჭიროა პირადი გამოცდილების გაზიარება, საკუთარი აქტუალური მსჯელობა და არა სხვისი აზრების გადმოწერა, „კლასიკოსთა“ მოსაზრების განმეორება.

წლებიანდელი, XVI საერთაშორისო პუშკინის კონკურსის მონაწილეებს უნდა წარმოედგინათ შემოქმედებითი ესე თემაზე: „სასწავლო განგაში. ვინ და როგორ ამზადებს რუსული ენის მასწავლებელს თქვენს ქვეყანაში?“. როგორც კონკურსის ორგანიზატორები აღნიშნავენ, ეს განგაში თანდათან გროვდება. მგნობიერი პრობლემას წარმოადგენს რუსული ენის სახელმძღვანელოები. წლებიანდელი კონკურსის ორგანიზატორებმა მიხნად დაისახეს, გაეგოთ რა მდგომარეობაშია რუსისტიკა რუსეთის ფარგლებს გარეთ: სად შეიძლება რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მიღება, არის თუ არა კონკურსი ამ საკითხში და სახელმძღვანელოები გამოიყე-

ნება, რა როლი აკისრია ინტერნეტს რუსული ენის შესწავლაში, შეცვლიან თუ არა დისტანციური კურსები ტრადიციულ სწავლებას და, რა თქმა უნდა, რით შეუძლია რუსეთის დაეხმაროს რუსული ენის მასწავლებლებს საზღვარგარეთ?

2016 წელს ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 43 ქვეყნის წარმომადგენელმა, კონკურსის გამარჯვებული გახდა 50 პედაგოგი—რუსისტი მსოფლიოს 22 ქვეყნიდან. 10 სექტემბერს მოსკოვის მერიამ ტრადიციის მიხედვით გაიმართა გამარჯვებული პედაგოგების საზეიმო დაჯილდოება. კონკურსის არსებობის 16 წლის მანძილზე ამ ცერემონიის დაესწრო უკვე 29 პედაგოგი საქართველოდან, რაც მეტყველებს მათ მუდმივ ინტერესზე რუსული ენისა და კულტურისადმი. ლაურეატთა შორის არიან ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები: დარეჯან ნემსაძე (2010 წ.), ნატალია მოსინა (2011 წ.), თამარ კენჭაძე (2012 წ.), ქრისტინა ჯიშველიშვილი (2014 წ.), ვალერიან ვოლჩანსკი (2015 წ.), ნელი სიჭინავა, ლალი ჩარკვიანი (2016 წ.). სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ წლებიანდელი პუშკინის კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი ნელი სიჭინავა. ჩვენი უნივერსიტეტის სახელი უკვე მეორედ გაფორდა გამარჯვებულთა შორის: 2013 წელს კონკურსის ლაურეატი გახდა ამავე დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი ნონა ბობოხიძე.

წინა წლებში სლავისტიკის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი ნონა ბობოხიძე (2014 წ.) და ასისტენტ პროფესორი ნელი სიჭინავა (2015 წ.) გახდნენ კიდევ ერთი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები, სადაც მოიპოვეს საზღვარგარეთის




რუსული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლების წოდება.

აღნიშნავთ, რომ კონკურსში „საზღვარგარეთის რუსული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებელი“ მონაწილეობა მიიღო ათასზე მეტმა მასწავლებელმა დსთ—ს, ბალტიის, ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკის, ოკეანის ქვეყნებიდან. მონაწილეობა შორის არიან სკოლისა და კურსების, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლები. ყოველწლიურად კონკურსის ფინალში გადის მხოლოდ 15 ქვეყნის წარმომადგენელი, რომლებსაც რუსული ენის სწავლების თავიანთი გამოცდილების გაზიარების საშუალება ეძლევა. კონკურსის ფიური წარმოდგენილია ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორებით, მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებით. ისინი აღნიშნავენ, რომ ამჟამად მსოფლიოში რუსული ენისადმი ინტერესი ღვივდება და მას ბუნებრივი, პრაგმატული, ხასიათი აქვს.

სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტი



# არა მარტო ჰირვალაურსალთათვის...



ჩვენს ხელთაა იამზე ვაშაკიძის საკმაოდ სოლიდური ნაშრომი „ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები“, თბ., 2016 წ., 387 გვერდი. წიგნის რედაქტორია პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ ეს წიგნი აირჩიეს ძირითად სახელმძღვანელოდ საგანში „აკადემიური წერა“ ქართული ენის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებმა. წიგნი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე, თითოეულ თეორიულ საკითხს ახლავს მეტად მდიდარი და საინტერესოდ შედგენილი საკარჯიშო მასალა, რომელიც დალაგებულია მეთოდურად და ამ საკარჯიშოების შესრულების შემდეგ სტუდენტს სიღრმისეულად შეისწავლის სილაბუსით გათვალისწინებულ თეორიულ საკითხებს.


ქართული, კონსტიტუციური, მშობლიური, ნორმირებული ენის აკადემიური ცოდნა სახელმწიფოებრივი თვითმეცნების განმტკიცებისა და დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპარობაა. 1978 წლის ცნობილი მოვლენების შედეგად საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში დაინერგა „ქართული ენის პრაქტიკული კურსის“ თუ „ქართული მეტყველების კურსის“ სწავლება. ეს საგნები ახალგაზრდებს აძლევდა ცოდნას სამწიგნობრო ენის ისტორიის, ლექსიკის, ენისა და დიალექტების ურთიერთმიმართების, სინტაქსური კონსტრუქციების აგების, მეტყველების ნაწილების სწორი წერისა და სტილისტიკის, პუნქტუაციის შესახებ და ხელს უწყობდა ზეპირი თუ წერილი მეტყველების კულტურის ამაღლებას. ამასთანავე საგნის შესწავლის პროცესში გათვალისწინებული იყო თანამედროვე ჯაჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების დონე.

ძალიან მოკლე ხანში ეს საგნები გაუმართლებლად ჩანაცვლდა „აკადემიური წერით“. როგორც წიგნის ავტორი ი. ვაშაკიძე წერს, „სახლდარგარეთის საუნივერსიტეტო პროგრამების“ გაკვლით მოხდა ამ საგნების „აკადემიური წერით“ შეცვლა. ეს ახალი საგანიც მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების აზროვნების თავისუფლების ჩამოყალიბებისათვის. ის სტუდენტებს ანიჭებს დამოუკიდებელი ხედვის უნარს, აძლევს საშუალებას თავისუფლად იაზროვნონ და მეტად გაბედულად გამოთქვან თავიანთი აზრი. საგანი აკადემიური წერა პრაქტიკული მიზანდასახულობისა და ემსახურება სკოლაში მიღებული ენობრივი უნარ-ჩვევების დახვეწას და ქართული სალიტერატურო ენით მეცნიერულად გამართული აზრის წერილობით ან ზეპირად ჩამოყალიბებას უმაღლეს საფეხურზე კონკრეტული პროფესიული მიმართულების მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა ამისა, აქ სტუდენტებს უვითარდებათ პრეზენტაციის უნარი. ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგ-

რამ ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება სწორად წერისა და ენის ნორმების ცოდნის საკითხები. ეს კი ნამდვილად შეუსაბამოა. ამ ნაკლის გამოსწორებას ემსახურება ქ-ნი იამზე ვაშაკიძის „ქართული ენის პრაქტიკული კურსი და აკადემიური წერის საფუძვლები“, რადგანაც სწორედ აქ, ამ წიგნში, ავტორს წარმოადგენილი აქვს ორ საგანში: აკადემიურ წერასა და მეტყველების კულტურაში პროგრამით გათვალისწინებული და კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი. ყველა ერთად აღებული ხელს შეუწყობს ავტორის მიერ დასახული მიზნის განხორციელებას. ამიტომ ამ წიგნის გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. ის მარტო პირველკურსელებისათვის კი არა, ნებისმიერი ადამიანის სამაგიდო წიგნია. ეს მით უფრო ახლა, როცა ყოველდღიურ ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში ადამიანი ნებისმიერ შემთხვევაში შეცდომას უშვებს. ძალიან ხშირად გვეხმის: ჩვენთაგანი, თქვენთაგანი, ჩვენსკენ, თქვენსკენ, შენსკენ, დღე და ღამის, ნოდარო, გურამო, ეთერი, უფრო უგემრიელესი, კარგით, მეოცდაჩვიდმეტე, თქვენს მიერ, ჩვენს უკან, მათმა გააკეთეს, ესეთიანრი, ეხლა, რეები, ვინები, დგებარ, გვეხარ, ანეთარებს, ავფრლოვანდი, ყვერივარ, წვეტიტავს, სვავს და სხვა. ადამიანებს შეცდომები მოსდით, როცა ორ ან მეტ სულიერი საგნის სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელს მხოლოდ რიცხვში უწყობენ ან ორცნებიანი კომპოზიტით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელს მრავლობით რიცხვში უთანხმებენ. უჭირთ გაარკვიონ „რომელიც“ წვერ-კავშირის ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში ვხვდებით გარდაუვალ ზმნებთან და სხვა უამრავი დარღვევა არსებობს, რაც სისტემატურად გვეხმის იმ ადამიანების მეტყველებაში, რომლებმაც არ იციან თანამედროვე ქართული ენის დღევანდელი ნორმები. ამ დროს რომელ აკადემიურ წერაზე ვიხსებოთ? აკადემიური წერა ხომ არის ძირითად წყაროებთან შეჯერებული, მეცნიერულად გამართული, სრული, სანიმუშო ნაწერი, სადაც მარტო აზრი კი არ არის სწორად ჩამოყალიბებული, არამედ ეს აზრი ყოველგვარი შეცდომის გარეშე არის დაწერილი? ახალგაზრდის სწორად აზროვნებასა და ამ აზროვნების ნორმების მიხედვით გაფორმებას ემსახურება ი. ვაშაკიძის საინაბოზოდ აღებული წიგნიც, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი მართლწერისა და სწორად აზროვნებისა და მეტყველებისათვის პრაქტიკაში დამკვიდრებული ყველა მნიშვნელოვანი წესი და რომელსაც საფუძვლად უდევს ავტორის მრავალი წლის მანძილზე მეტყველების კულტურაში, ქართული ენის პრაქტიკულ კურსსა და აკადემიურ წერაში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების გამოცდილება. აქ წარმოდგენილი თეორიული და პრაქტიკული მასალა ემყარება ქართული სიტყვის კულტურის საკითხებში მოცემულ დებულებებს, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, ქართველ გრამატიკოსთა ნაშრომებს, სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემულ მართლწერისა და მართლმეტყველების წესებსა და ქართული ენის ორიგინალურ და განმარტებით ლექსიკონებს.

**ეულოცავთ ავტორს, რომ ამ დიდ საქმეს კარგად გაართვა თავი.**  
**ეულოცავთ ჩვენს სტუდენტებს, რომ საგანში „აკადემიური წერა“ აქვთ მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი და ვუსურვებთ, რომ ის „რიგინად მოიხმარონ“, რადგანაც ამ წიგნით მიღებული ცოდნა „ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბუნების ხი-დია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედი-საგან გადებული“.**

იზოლდა რუსაძე



**ოთარ ჯობურიძე -**  
**პროფესორი,**  
**საქართველოს**  
**პოლიტიკური მეცნიერებათა**  
**აქადემიის ნამდვილ წევრს -**  
**აქადემიოსს**  
**ველოცავთ**  
**ჯანსაღობის საპატიო**  
**მოქალაქის წოდებას**

## ლიასკორის დღეები



მარცხნიდან - მარჯვნივ მარია მარჯანიშვილი, რუსუდან გოგბერაშვილი, მაია მიქაბერიძე

წელს უკვე მეორედ ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაცია - „ქართველ ემიგრანტთა საერთაშორისო გაერთიანებისა“ და საბერძნეთის ქალაქ თესლონიკში მოქმედი „ქართული სალონი“ მიერ საერთაშორისო ლიტერატურული კონკურსი - „ემიგრანტის წერილი - 2016“.

კონკურსის მიზანი გახლდათ ქართველ ემიგრანტთა ნაწარმოებების მოძიება, შეკრება და მათი ქართულ ლიტერატურულ სივრცეში დამკვიდრება. ამასთან ქართულ ენაზე შექმნილი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების ავტორთა გამოვლენა და მათი ბეჭდური თუ ელექტრონული წიგნების სახით გამოცემა.

წელს პირველად პროზასა და პოეზიაში პირველ საპრიზო ადგილზე გასულ კონკურსანტებს გადაეცათ გრიგოლ რობაქიძის სახელობის პრიზი „არჩიბალდ მეკეში“.

ასევე, წელს პირველად ჩატარდა ელექტრონული კონკურსი - „მკითხველის პრიზი“. ელექტრონული სოციალური ქსელის მომხმარებლის მიერ დაჯილდოვდა საკუთარი პრიზით ოთხი ავტორი. მათ შორის ფინალისტი ფილოლოგიის დოქტორი მარია მარჯანიშვილი ესესათვის „ჩვენი ლამაზი სამშობლო რომ მეტად ცნობილი იყოს ევროპაში“.

მკითხველის რჩეული მარია მარჯანიშვილი საუკეთესო ესესათვის დააჯილდოვა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საქართველოში ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსების გამოცემების განყოფილების უფროსმა მაია მიქაბერიძემ.

ლიტერატურული კრებულის „ემიგრანტის წერილი - 2016“ პრეზენტაცია ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში.

კონკურსის მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს დიასპორის სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საინფორმაციო საა-

გენტო „ივერიონი“, კომპანია „ჩვენი ტური“ და „Georgia-Israel“ ღიზანერ მეწარმეთა ასოციაცია.

და, რაც მთავარია, მეორე დიასპორული პროფესიული ფორუმის - „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და ისტორიული დიასპორის წევრები. მათ შორის მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის წევრთა შთამომავლები.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას შთამომავალმა, ამხანაგობა „ქართული კერის“ მმართველმა, „ლევილის შატოს“ მამულისა და ქონების საქართველოსათვის გადმოცემისა და მისი შემდგომი ფუნქციონირების განსაზღვრის მიზნით შექმნილი პარიტეტული კომისიის წევრმა ირენ ციციშვილმა აჩვენა გურამ შარაძის ფილმი „მოხუცი ლევილები“ და ისაუბრა ლევილში მცხოვრებ ქართველებზე, ასევე მათ მიერ ლევილში გამართულ ქართულ-ფრანგულ საღამოებზე.

ემიგრანტ მამია ბერიშვილის შვილმა, ქართველ ხალხთან მეგობრობის ფრანგული კულტურის ასოციაციის - „გაუმარჯოს საქართველოს“ პრეზიდენტმა ტიერ ბერიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „გადასახლებაში მყოფი ქართული მთავრობის ბრძოლა 1921 წლის 20 მარტიდან 1953 წლის 11 იანვრამდე“.


ფორუმი მიმდინარეობდა 5 სამუშაო პანელზე, რომელზეც გამოვიდა მაღალი კლასის 62 მომხსენებელი.

ფორუმის მუშაობამ კიდევ ერთხელ ცხადყო დიასპორის სამინისტროს დიდი როლი, რამეთუ დიასპორის სამინისტრო არის ის კონკრეტული ადგილი, სადაც ხდება მაქსიმალური კონცენტრაცია და აზრის გენერაცია დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თამარ გუმბერიძე



# დიმიტრი უზნაძე - 130



მიმდინარე წლის 20 დეკემბერს დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წელი სრულდება. დ. უზნაძე იყო საქართველოში უმაღლესი განათლების პირველი კერის, თბილისის უნივერსიტეტის (დღეს, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ერთ-ერთი დამფუძნებელი. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის (რომლის სამართალმემკვიდრეც ჩვენი უნივერსიტეტი) დაარსებაში, სადაც თითქმის 10 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მის მიერვე შექმნილ ფსიქოლოგიის კათედრას. 29-30 ოქტომბერს ჩვენი უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი, საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციასა და ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტთან ერთად, გვგმავს დ. უზნაძის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას, სადაც დ. უზნაძის მიერ შექმნილი ზოგადფსიქოლოგიური მიმდინარეობის, განწყობის ფსიქოლოგიის, სხვადასხვა ასპექტებსა და მის აქტუალურ პრობლემებზე იქნება სჯა-ბაასი.

დ. უზნაძის მოღვაწეობის დასაწყისი უშუალოდ ქუთაისთანაა დაკავშირებული. 1909 წელს მან, 23 წლის ასაკში, საღიქტორო დისერტაცია დაიცვა გერმანიაში და სამოღვაწეოდ დაბრუნდა ქუთაისში. თბილისში გადასვლამდე (1917 წლამდე) იგი ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, ლოგიკას, პედაგოგიკასა და ისტორიას ასწავლიდა ქუთაისის გიმნაზიებსა და სხვა სასწავლებლებში. იყო საზოგადოება „სინათლის“ ქალთა სკოლის დირექტორი და მასწავლებელი. სენსაციური იყო უზნაძის პირველივე გამოჩენა საზოგადოებრივ ასპარეზზე, როდესაც სულიად ახალგაზრდა სწავლული ჩართო ხელოვნების ფილოსოფიის საკითხებზე გაჩაღებულ დისკუსიაში, თამამად დაუპირისპირდა დისკუსიის გამომწვევს მონაწილეებს და წამოაყენა თეორია ფსიქიკის თვითაქტიური ბუნების შესახებ. უზნაძის ეს თეორია, რომელმაც შემდეგში თავისებური ტრანსფორმაცია განიცადა და განწყობის შესახებ უზნაძის განთქმულ ზოგადფსიქოლოგიურ თეორიაში პპოვა გაგრძელება, ნაკლებად ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ამიტომ, მიზნაშეწონილად მიგვაჩნია, მკითხველს, ზოგად ხაზებში გაეაცნოთ იგი.

## დიმიტრი უზნაძის თეორია ფსიქიკის თვითაქტიური ბუნების შესახებ

თეორია ფსიქიკის თვითაქტიური ბუნების შესახებ დ. უზნაძემ ქუთაისში თავისი მოღვაწეობის დასაწყისში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში („ბარათაშვილის ლირიკის მოტივები“, გაზ. „დროება“, 1909 წ. N 13 და N 14; „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. 5 და 7 სექტემბრის ნომრები; „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის განდგომილში“, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. 23 და 24 დეკემბრის ნომრები და სხვ.) ჩამოაყალიბა. ამ თეორიით იგი ორიგინალურ პასუხს იძლევა კითხვაზე, თუ რა ძალები და ფაქტორები განსაზღვრავს ადამიანის სულიერი აქტივობის პროცესს.

განსახილველი თეორიის გაგებისთვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ინტელექტუალური კონტექსტი, რომელშიც იგი პირველად გამოითქვა. 1908 წლის დასარულს, ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, გრიგოლ რობაქიძემ, ქუთაისში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, რომლის ტექსტი იმდროინდელ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა. ლექციას კრიტიკული წერილით გამოეხმაურა ცნობილი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე, არჩილ ჯორჯაძე. რობაქიძე, თავის სიტყვაკაზმულ გამოსვლაში, ცდილობს ამოხსნას თუ საიდან და როგორ წარმოსდგება ცხოვრების ამოებების განცდისა და მარადისობისაკენ სწრაფვის მოტივები, რითაც გამსჭვალულია ბარათაშვილის პოეზია და რაც თავის კულმინაციურ გამოხატულებას „მერანში“ პპოვებს. იგი ამას გენიალური პიროვნების აბსოლუტურობით, ერთხელ და სამუდამოდ მოვლენილობით, განუქორებლობით, ინდივიდუალობით ხსნის. ჯორჯაძე მთელ ამ მსჯელობას მეტაფიზიკად მიიჩნევს. მისი აზრით, ლექციის ავტორმა ვერ მონახა დამაჯერებელი პასუხი დასმულ პრობლემაზე და ამიტომ გადაიტანა იგი მეტაფიზიკურ სივრცეში.

ხოლო რამდენადაც ყოველგვარი მეტაფიზიკა თავად მთაწარის სუბიექტურ შეხედულებათა სისტემაა, ამდენად, ავტორი მას აზროვნების სისუსტის მაჩვენებლად მიიჩნევს. ჯორჯაძის აზრით, ბარათაშვილის განცდებისა და სწავლების წყარო მისი დრამატული ცხოვრება და სამშობლოს მიძიმე ბედ-იღბალია. ხოლო ის, თუ ამ გარემოებებმა როგორ განაპირობა ბარათაშვილის ლირიკის ინდივიდუალური თავისებურებები, მარად საიდუმლოებად დარჩება, რადგან ინდივიდუალობა ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელია.

უზნაძე არც მეტაფიზიკური აზროვნების ჯორჯაძისეულ შეფასებას ეთანხმება და არც ბარათაშვილის სულიერი დრამის რობაქიძისეულ ახსნას. მისი აზრით მეტაფიზიკა არა აზროვნების სისუსტის, არამედ, პირიქით, სიძლიერის მაჩვენებელია. ამიტომ, უზნაძე აღფრთოვანებულია რობაქიძის ლექციის მხატვრული და ამაღლებული სტილით. მისი სიტყვებით, ლექციის შინაარსი „მჩქეფარე აზრთა ნაკადი აზროვნების მეტაფიზიკური მიმდინარეობაა“. ამის მიუხედავად, ახალგაზრდა ავტორი, გაბეღულად აკრიტიკებს ბარათაშვილის სულიერი დრამის რობაქიძისეულ ანალიზსაც. უზნაძის თანახმად, რობაქიძეც, ჯორჯაძის მსგავსად, ფსიქიკის პასივობის თეზისს ემყარება და ბარათაშვილის სულიერ დრამას მისი ცხოვრების გარემოებებით ხსნის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჯორჯაძე იმ საკითხს, თუ როგორც მოგვცა ამ პირობებმა ბარათაშვილის ლირიკის კონკრეტული შედევრები, ამოუხსნელ ამოცანად თვლის, რობაქიძე კი მას საკუთარი გემოვნების შესატყვისი მეტაფიზიკურ გადაწყვეტას უქმნის.

უზნაძეს მიაჩნია, რომ ადამიანის ყოველგვარ სულიერ აქტივობას, მ.შ., მის შემოქმედებით საქმიანობას, იწვევს არა გარემო, არამედ აქტივობის და შემოქმედების შინაგანი იმპულსი, რომელიც ადამიანის სულიერ სამყაროს თავისთავად

ახსიათებს. ნიშანდობლივია, რომ უზნაძე ჯერ ზოგად თეორიას აყალიბებს ადამიანის სულიერი აქტივობის მამოძრავებელ ძალთა შესახებ და მხოლოდ შემდეგ, უკვე მზა თეორიის შუქზე, იძლევა კონკრეტული საკითხის, ამ შემთხვევაში ბარათაშვილის შემოქმედების მოტივების შესახებ პრობლემის, გადაწყვეტას. ზოგადი კანონზომიერების ძიება და კონკრეტული მოვლენების გასაგებად მისი გამოყენება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომაზე მეტყველებს. ამრიგად, თუ რობაქიძის ლექცია მეტაფიზიკური აზროვნების შესანიშნავი ნიმუშია, უზნაძის წერილი უკვე სრულიად გამართული მეცნიერული კონცეფციაა.

ამ კონცეფციის მიხედვით, რომელიც სხვადასხვა რაკურსითაა გადმოცემული მის მომდევნო პუბლიკაციებშიც, აქტიურობა თვითონ ფსიქიკის არსებობის ფორმაა. ფსიქიკა არაა სუბსტანციონალური მოცემულობა და მას ასამოქმედებლად გარეგანი მიზეზი არ ესაჭიროება. სულიერი პროცესი, როგორც ასეთი, აქტივობას იმთავითვე გულისხმობს. იგი ყოველგვარ გარემოში იმ სახითა და ფორმით გამოაუვლენს თავს, როგორც მისი მოცემულობის არსს, ე.ი. მის აქტიურ ბუნებას, შესაბამეა. გარემო უმნიშვნელოა მისი აქტივობის გაღვივებისთვის. ამასთანავე, ფსიქიკა აქტიურთან ერთად პასიურიცაა, რადგან მიმდებარე რეცეპტიულია. გარემო განუწყვეტლად მოქმედებს მასზე გრძობის ორგანოთა საშუალებით და ზღვარს უდებს მის თავისუფალ ლტოლვას. ამრიგად, ადამიანის ფსიქიკა ორი მოწინააღმდეგე მიმდინარეობის წარმომადგენელია, აქტიური შემოქმედი გონებისა და პასიური გრძობისა, რომელთაგანაც სიამოვნება-უსიამოვნების გრძობებია დაკავშირებული. ყოველი ადამიანი აქტიურ შემოქმედ გონებასთან ერთად, გრძნეულ-გრძობათა მატარებელია. გრძნებაში შერწყმება (ზოგადად სენსორული, ან პერცეპტული პროცესი) იგულისხმება, გრძობაში კი

შერწყმების ემოციური განცდა. ადამიანი, როგორც შემოქმედი, აბსოლუტურია, მაგრამ როგორც გრძნეული (შემგრძნობი, გარემოს მიმღები) დროისა და სივრცის საზღვრებითაა შეზღუდული.

ადამიანში გამოუმუშავებული ბრძოლა ამ ორ მიმდინარეობას (შემოქმედ გონებასა და შერწყმულ განცდათა) შორის და ეს ყოველი ადამიანის დრამაა, რაც მსოფლიო ისტორიული განვითარების შინაარსია. ეს დრამა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო დიდია მათ შორის დაპირისპირება. ამ დაპირისპირებას კი აძლიერებს ერთი მხრივ შემოქმედი გონების სიძლიერე, მეორე მხრივ, გრძნეულ გრძობათა სიძლიერე. განსაკუთრებით მძაფრია ეს დაპირისპირება გენიოსთან, „ვინაიდან გენიალობა ძლიერი შემოქმედებაა და უღრმესი გრძნება“. გენიოსს სხვებზე მეტად ბოჭავს წუთისოფელი, ვინაიდან იგი სხვებზე ღრმად იგრძნებს. ამ გრძნებით იბოჭება მისი სულის შემოქმედებითი ელემენტი. ხოლო რაკი ადამიანი არა უმთავრესად გრძნეული (მიმღები, რეცეპტიული), არამედ, უწინარეს ყოვლისა შემოქმედი, მთავრობს არის, მასში იბადება ამ შერწყმების დაძლევისა და მარადისობისაკენ (უსასრულობისაკენ) ლტოლვა. გენიოსთან ეს მისწრაფება უმწვავესი ფორმით მჟღავნდება.

ბარათაშვილის შესახებ დასკვნა ასეთია: მისი ცხოვრების უკუღმართობანი და საქართველოს მიძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა უმნიშვნელოა მისი პოეზიისათვის. მთავარია, რომ იგი ძლიერი შემოქმედი გონებისა და ძლიერ გრძნეულ გრძობათა მატარებელია. მერანი მისი აბსოლუტური სულია, რომელიც მიისწრაფის მარადისობისაკენ, შავი ყორანი კი გრძნეული გრძობებია, რასაც (წუთისოფლის არარაობას) გაურბის. მაგრამ ეს ძნელია, საწყენია, მძიმეა, კენესაა გულისა, რომელსაც იგი მარად-

გაგრძელება მე-6 გვ-ზე



# ლიბირი უზნაძის თეორია ფსიქიკის თვითაქტიური ბუნების შესახებ

დასაწყისი მე-5 გვ-ზე

სობისაკენ ლტოლვას წირავს. ასეთივე თეორიულ განზოგადებას აძლევს უზნაძე განდგომილობის პრობლემასაც (წერილი, „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის განდგომილობის შესახებ“). განდგომილობა საკუთარი აბსოლუტური სულის სრულყოფას შესწირა თავისი გრძელვადიანი გრძობები (ყოველივე ხორციელი და ამქვეყნიური). მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხორციელი ადამიანის აბსოლუტური სრულყოფა შეუძლებელია. კრიტიკულ მომენტში განდგომილობა თავი იჩინა გრძელვადიანი გრძობებმა, რამაც მისი სულიერი დრამა განაპირობა.

სტატიაში „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“, უზნაძე სრულყოფის თავისი კონცეფციას ფსიქიკის აქტიური ბუნების შესახებ და მას არაცნობიერის (მისი მაშინდელი ტერმინოლოგიით, „შეუგნებლის“) პრობლემასთან აკავშირებს. ავტორის თანახმად, ინდივიდუალობა ცნობიერების დონეზე ვლინდება, ხოლო ის, რაც ადამიანს სხვა ადამიანებთან და მთელ სამყაროსთან აერთიანებს ცნობიერებაში მოცემული. სამყარო ობიექტურად მილიანია, ინდივიდუალობა მასში ცნობიერებას შეაქვს. ამრიგად, შემდგომში განვითარების ფსიქოლოგიად წოდებული თავისი ზოგადფსიქოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომლის

მიხედვითაც ცნობიერი განცდა პირველადი მოლიანობის (რომელშიც ობიექტური და სუბიექტური ერთიანობაშია მოცემული) დიფერენციაციის გზით ვლინდება, უზნაძემ ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე წამოაყენა. განვითარების თეორიის მიხედვით, ადამიანის ყოველგვარ აქტივობას წარმართავს განწყობა, რომლის აღმოცენების აუცილებელ ფაქტორსაც მოთხოვნილება წარმოადგენს. ყველა ის ზოგადფსიქოლოგიური თეორია, რომელიც ფსიქიკის სუბსტანციონალიზმს (მაშასადამე, მისი პასივიზმის) დებულებას ემყარება, ადამიანის სულიერ აქტივობას მხოლოდ სუბსტანციონალურ მოთხოვნილებებთან (ბიოლოგიური, თეორიული და სოციალური მოთხოვნილებები) აკავშირებს. ამ თეორიათა თანახმად, ადამიანი აქტივობისთვის მხოლოდ შიშშიღმა (ზოგადად ამ რიგის საჭიროებებმა), შექმნილი ინტერესმა, ან სოციალურმა გამოწვევებმა შეიძლება აღძრას. უზნაძემ, ადამიანის მოთხოვნილებათა სფეროს დეტალური ანალიზის გზით, აჩვენა, რომ ადამიანი აქტიურია თავისთავად, ყოველგვარი ბიოლოგიური ან სხვა საჭიროებებისაგან დამოუკიდებლად, ვინაიდან, სუბსტანციონალური მოთხოვნილებების გარდა, მას საკუთრივ აქტივობის, ანუ

ფუნქციონალური მოთხოვნილებებიც გააჩნია. ამის მიხედვით, უზნაძემ ადამიანის აქტივობის ფორმები ექსტეროგენურ და ინტროგენურ ქცევებად დაყო. პირველს სუბსტანციონალური მოთხოვნილებები იწვევს, მეორეს კი ფუნქციონალური. ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობა, ისევე როგორც თამაში, სწორედ ფუნქციონალურ მოთხოვნილებებთანაა დაკავშირებული. განვითარების თეორიის ეს დებულებები, როგორც ვხედავთ, უზნაძის მიერ მისი მოღვაწეობის დასაწყისში წამოყენებული აქტივობის თეორიის თავისებური გაგრძელება და სრულყოფაა.

საგულისხმოა, რომ ზუსტად იმ ხანაში, როდესაც უზნაძე ფსიქიკის თვითაქტივობის თეორიას ავითარებდა, ამერიკაში ისახებოდა და ძალას იკრებდა საპირისპირო მიმართულება, ბიპევიორიზმი, რომელსაც სულიერი არსების (მ. შ. ადამიანის) ყოველგვარი აქტივობა გარეგანი სტიმულაციით გამოწვეულ რეაქციად მიაჩნია. ფსიქიკის პასივიზმის თეორიის კარგად ჩანს გამოთქმაში, „უპასუხით ახალ გამოწვევებს“ („ვგვარათ ახალი გამოწვევების წინაშე“, „ესაა ჩვენი პასუხი დღევანდელ გამოწვევებზე“ და სხვ.), რამაც, ბიპევიორიზმის გავლენით, ჯერ ამერიკაში მოიკიდა ფეხი, შემდეგ კი

მთელ მსოფლიოს მოედო. ესაა უაზრო გამოთქმა, რადგან მისგან გამომდინარეობს, რომ ადამიანს შეუძლია უსულო ნივთივით უქმად ვგდოს მანამ, სანამ რაიმე არ გამოწვევს სამოქმედოდ, რაიმე გარეგანი ბიტი არ აამოძრავებს. ბიპევიორიზმმა ქარიშხალივით გადაუარა მთელ მსოფლიოს, მაგრამ მისი დაცხრომის შემდეგ, ფსიქოლოგიური აზრი ფსიქიკის აქტიური ბუნების აღიარებამდე მივიდა. დღეს წამყვან ფსიქოლოგიურ მიმდინარეობებში სხადასხვა კუთხით განიხილება ადამიანის სულიერი სამყაროს ის თავისებურება, რომ იგი არაა მხოლოდ გარემოს გამოწვევებზე მოპასუხე რეაქტიული მექანიზმი. ადამიანი თვითონ მისწრაფის საკუთარი სულიერი პოტენციალის მაქსიმალური რეალიზებისკენ, თვითონ იწვევს საკუთარ თავს დიდი თუ მცირე საქმეების საკეთებლად. ადამიანის სულიერი ცხოვრების ამ თავისებურების აღმოჩენის საქმეში უზნაძემ მრავალი ათწლეულით დაასწრო დღევანდელ მსოფლიოში არსებულ ძირითად ზოგადფსიქოლოგიურ თეორიებს.

*მერაბ მაღრაძე*  
აწსუ ფსიქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

## გოეთეს დღეები 2016



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციულად ქვეყნული „გოეთეს დღეები“, რომელიც ყოველი სასწავლო წლის გაზაფხულზე გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარის პროფ. ნანული კაკაურიძის ხელმძღვანელობით იმართება, მიმდინარე წელს დოქტ. ზაქარია ფურცხვანიძის (ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი) ლექციითა ციკლით „გერმანიისტიკა და კომპიუტერული ლინგვისტიკა“ დაიწყო.

ჩატარდა სტუდენტთა, დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციები, რომლებიც თემათა მრავალფეროვნებითა და პრობლემათა აქტუალობით გამოირჩეოდნენ. საინტერესო და მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული მოხსენებები წარუდგინეს მსმენელს გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის წევრებმა. სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობას დებულობდნენ არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გერმანიისტიკის, არამედ სხვა სპეციალობების სტუდენტებიც.

„გოეთეს დღეები 2016“-ის ფარგლებში გერმანიისტიკის სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების

სათვის ვაიმარის გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების წევრმა დოქტ. ქრ. ვერთმა მოხსენება წაიკითხა თემებზე: „მე-18-ე გრიპები“ და „გერმანიის აქტუალური მოვლენები“. ასევე უაღრესად შთაბეჭდავი იყო ზაალ თოდუას მოხსენება თემაზე „გერმანული რენესანსის მხატვრობა“.

„გოეთეს დღეების“ ფარგლებში მოეწყო გერმანული ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამთა თურმანიძე).

ღონისძიებათა ვრცელი ციკლი, რომელშიც გერმანიისტიკის სპეციალობის სხვადასხვა კურსისა და ასევე ფაკულტეტის სხვა სპეციალობის სტუდენტები მონაწილეობდნენ, მრავალფეროვანი თემებით გამოირჩეოდა. წარმოდგენილი იყო ლიტერატურული და ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციები არა მარტო გერმანული ლიტერატურის ცალკეული პერიოდისა თუ წარმომადგენლის შემოქმედების, არამედ გერმანიის კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესახებ: ლიტერატურული კომპოზიციები, სკენები და მოკლემეტრაჟიანი ვიდეო-ფილმები (გერმანიისტიკის სპეციალობის I, II, III და IV კურსი; ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. ნ. შარაშენიძე, ასოც. პროფ. რ. სვანიძე, პროფ. ნ. გაგინიძე, ასოც. პროფ. მ. ბაქრაძე, ასოც. პროფ. ი. შიშინაშვილი); „Deutsch macht uns Spa“ (გერმანიისტიკის სპეციალობის II კურსი, მაინორი; ხელმძღვანელი: მ. პაპავა), „Georgiens Weg nach Europa“ (გერმანიისტიკის სპეციალობის II და III კურსი, მაინორი; ხელმძღვანელი: დოქტორანტი თ. მებურიშვილი).

„გოეთეს დღეები 2016“-ის ფარგლებში ჩატარდა ლიტერატურული ვიქტორინა „Wer kennt die deutsche Literatur besser?“ (ხელმძღვანელები: პროფ. ნ. გაგინიძე, ასოც. პროფ. ი. შიშინაშვილი, ასოც. პროფ. ნ. ნასარიძე, დოქტ. ნ. კვირიკაძე).

აპრილსა და მაისში განხორციელდა პროექტი „გერმანული საბავშვო ბაღში“, რომლის მიზანს წარმოადგენს უცხო ენების ადრეულ ასაკში ათვისების ხელშეწყობა. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს

უცხო ენების მეთოდიკა/დიდაქტიკის განვითარებას, გერმანული ენის მასწავლებლების მომზადებას და მათ პროფესიულ განვითარებას. სტუდენტები ფინანსური ანაზღაურების გარეშე ატარებდნენ ბაღებში 10 მეცადინეობას (ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. რამაზ სვანიძე, ასოც. პროფ. თ. ნიჭარაძე).

წლევანდელი „გოეთეს დღეების“ ნოვატია იყო კითხვის კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ იმერეთის რეგიონისა და ქალაქის საჯარო სკოლის მე-6, მე-7 კლასის მოსწავლეები. აღნიშნულმა ღონისძიებამ ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა პატარა მკითხველებში. მონაწილეობა გამოთქმეს დიდი სურვილი, რომ აღნიშნული კონკურსი მომავალშიც ჩატარდეს. ასევე დიდი პოპულარობით გამოირჩევა ტესტირება გერმანულ ენაში A1 და A2-დონეებზე, რომელშიც წელს 100-ზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რამაზ სვანიძე).

მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩეოდა ქ. ქუთაისისა და მისი შემოგარენის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ღონისძიებები: 1, 7, 23, 33, 35, 41, „პროგრესი“, გვერდითი და კურსები. ახალგაზრდა შემსრულებლებმა ადაფრთოვანეს მსმენელი გერმანული ენისა და ლიტერატურის სიყვარულით (ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რ. სვანიძე). აღსანიშნავია გოეთეს ინსტიტუტისა და ქუთაისის უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი „გოეთეს თასი 2016“, რომელსაც ხუთი წლის ტრადიციად აქვს. ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა, რომლებიც სკოლაში გერმანულ ენას სწავლობენ და რომლებსაც ძალიან უყვართ ფეხბურთი. წელს ამ პროექტში 12 სკოლა იღებდა მონაწილეობას. ჭოგნარის, სორმონის, გვერდისა და ობჩის საჯარო სკოლებთან ერთად მონაწილეობდნენ ქ. ქუთაისის 41-ე, 35-ე, 33-ე, მე-16, მე-7, მე-5 და 1-ლი საჯარო სკოლები, გოქაძის სკოლა და კერძო სკოლა „პროგრესი“. დიდი იყო გუნდების ძალისხმევა, ფინალში გამარჯვებულიც თერთმეტმეტრიანი დარტემე-

ბით გამოვლინდა. გოეთეს თასი მოიპოვა ქ. ქუთაისის 33-ე საჯარო სკოლამ. შესაბამისად, მეორე ადგილი დაიკავა 41-ე საჯარო სკოლამ. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სორმონისა და გოქაძის სკოლის გუნდების თამაშმაც. ამ პროექტებში ჩართულ მოსწავლეებს, გერმანული ენისა და სპორტის მასწავლებლებს მადლობას მოუხსენებთ და უამრავ წარმატებას ვუსურვებთ (თანხელმძღვანელი: ასოც. პროფ. რ. სვანიძე).

„გოეთეს დღეები 2016“-ის შემაჯამებელ საღამოზე ფულადი საჩუქრები და საპატიო დიპლომები გადაეცათ ასევე ქუთაისის მეხუთე და მეთექვსმეტე, ასევე სოფელ გვერდისა და კურსების საჯარო სკოლების გერმანული ენის პედაგოგებს გერმანული ენისა და კულტურის პროპაგანდის საქმეში გაწეული ღვაწლისათვის. აღსანიშნავია, რომ „გოეთეს დღეების“ ფარგლებში აღნიშნულ სკოლებში ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები, რომლებიც გერმანული ენის პოპულარიზაციას ემსახურება.

II მაისს გაიმართა დასკვნითი ღონისძიება, რომელზეც გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ პროფ. დოქტ. ნანული კაკაურიძემ დააჯილდოვა მოსწავლეთა ტესტირებაში წარმატებული მოსწავლეები და მათი პედაგოგები, ასევე ყველა სხვა ღონისძიებაში მონაწილე მოსწავლეები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სერთიფიკატებითა და სამახსოვრო საჩუქრებით. აღნიშნული საღამო პირველი საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა შთაბეჭდვითი კონცერტით გააღამაშეს. მხარდაჭერისათვის დიდი მადლობა გვინდა გადაუხადოთ გერმანიის საელჩოს, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოებას, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურსა და გოეთეს ინსტიტუტს.

*რამაზ სვანიძე*



# ქუთაისი და ნიუპორტი - მეგობრობის უნიალური ისტორია



ქუთაისმა 2016 წლის ივნისში მასშტაბურად აღნიშნა ნიუპორტთან მეგობრობის და ქუთაისი ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაციის დაფუძნების 25 წლისთავი.

ეს ასოციაცია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია ქუთაისის მერია, უაღრესად მნიშვნელოვანია და განხორციელებული პროექტების მასშტაბით. არ დარჩენილა არც ერთი სფერო, სადაც ნიუპორტს არ აღმოუჩენია ქუთაისისთვის პროგრამული, მატერიალური ან ინფორმაციული დახმარება. ჩვენი ქალაქების ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი ურთიერთ-

ამ მრავალწლიანი მეგობრობის მანძილზე ნიუპორტიდან ქუთაისს სულ 775 ბრიტანელი, ხოლო ნიუპორტს - 1277 ქართველი ეწვია.

საზეიმოდ გაიხსნა ქუთაისში ნიუპორტის და ნიუპორტში ქუთაისის ქუჩები.

საგანმანათლებლო პროექტების, უნივერსიტეტებს შორის მემორანდუმების, სტუდენტური და სამეცნიერო საგრანტო პროგრამების განხორციელების გარდა, ნიუპორტთან მეგობრობამ მნიშვნელოვანი ტექნიკური და პროფესიული ზრდა განაპირობა ჯანდაცვის, ტურიზმის, ინფრასტრუქტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის,



ოფიციალური ხელმძღვანელობის გარდა, ჩართული იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სფერო. ეს ზეიმი არის ქუთაისელების ზეიმი და არა მხოლოდ ქუთაისი ნიუპორტის ასოციაციის. მასში მონაწილეობას იღებდა ათასობით ჩვენი თანაქალაქელი. სტუმართა შორის მოწვეული იყვნენ დიდი ბრიტანეთის სრულუფლებიანი ელჩი და პარლამენტის წევრები.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ საიუბილეო ღონისძიებების წარმატება პირველ რიგში იმით იყო განპირობებული, რომ სტუმრების მოღვაწეობის სფერო უაღრესად მრავალფერო-

ვაკულტეტის დეკანი, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი;

- ანჯელა ლოიდი, სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე, გვენტის შემდგომი განათლების კოლეჯი (გშგკ);
- გარი ჰენდლი, I კემპუსის ხელმძღვანელი, გშგკ;
- ქეთი ბეკაუსი, II კემპუსის ხელმძღვანელი, გშგკ;
- ალის ბატლერ-ბრაითი, ზრუნვისა და ზედამხედველობის სკოლის ხელმძღვანელი, გშგკ;
- რიჩარდ ბეკანი, ენურინ ბეკანის ჯანდაცვის საბჭოს მდივანი;
- ქლერ მაქართი, სასწრაფო



ბებიდან, ქუთაისელებისა და ნიუპორტელების ეს მეგობრობა ნამდვილად, ორ ერს შორის მეგობრობად იქცა.

ქუთაისსა და ნიუპორტს შორის დამეგობრების ხელშეკრულება ქუთაისის პირველი ოფიციალური საერთაშორისო დოკუმენტია.

ქუთაისსა და ნიუპორტს შორის ურთიერთობა, პარიზში, მსოფლიო დამეგობრებულ ქალაქთა ასამბლეამ, ქალაქთა შორის მეგობრობის საერთაშორისო მოდელად აღიარა.

სახანძრო-სამაშველო, არასამთავრობო და კულტურულ-სახელოვნებო სფეროებში.

ამ მეგობრობის ოფიციალური მხარდაჭერები ამ ხნის მანძილზე იყო დიდი ბრიტანეთის ყველა სრულუფლებიანი ელჩი დამოუკიდებელ საქართველოში.

12-19 ივნისს, ქუთაისმა ნიუპორტელ მეგობრებს უმასპინძლა და ეს იუბილუ მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნა, რომელშიც, ქალაქის



ვანი გახლდათ. დელეგაციის წევრები იყვნენ:

**ორგანიზატორები: დამა როზმარი ბატლერი, დერეკ ბატლერი და ქეროლან მაქლაკენი.**

- მისი უწმინდესობა რიჩარდ ფენი, მონმუთის ეპისკოპოსი;
- ლისტერ თონგი, მონმუთის მეუფე;
- დარიუს ჯეიმსი, უელსის საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი;
- გლინ ფენქუესტი, გვენტის საგრაფოს პოლიციის უფროსი;
- დოქტორ კარლ პიტერსი, საბუნებისმეტყველო და განათლების

დახმარების ექთანნი, გვენტის სამეფო საავადმყოფო;

- სონია ფიშერი, ნიუპორტი ქუთაისის საერთაშორისო ასოციაციის თავჯდომარე;
- პიტერ ლანდერსი, ნიუპორტის ახალგაზრდული ორგანიზაციის (YMCA) დირექტორი.


*ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი*

*ქუთაისი ნიუპორტის საერთაშორისო ასოციაცია*





# წმინდა ანთიმოზ ივერიელი - მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და ეროვნულ-სოციალური ღვაწლის დიდი თაოსანი



ამა წლის 15 სექტემბერს, რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში, ოვიდიუსის უნივერსიტეტში, საზეიმოდ გაიხსნა რუმინეთში მოღვაწე ქართველი მიტროპოლიტის, მწიგნობრისა და საზოგადო-პოლიტიკური მოღვაწის, წმინდა ანთიმოზ ივერიელის მოწამებრივად აღსრულების სამასი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სიმპოზიუმი, რომელიც ოთხი დღე გაგრძელდა, რუმინეთის მთელ ტერიტორიაზე არსებული, უკლებლივ ყველა ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სასულიერო ინსტიტუციის ჩართულობით და თანამონაწილეობით.

წმინდა ანთიმოზ ივერიელი, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს რუმინული ეკლესიის ერთ-ერთ უპირველეს ავტორიტეტს, რომელსაც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, განსაკუთრებულად საპატიო ადგილი აქვს მინიჭებული ნებისმიერ იქაურ ტაძარში, ამასთანავე გახლავთ რუმინელი ხალხის განმანათლებელი, სულიერი მამა და მწყემსი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შეუდრეკელი წინამძღოლი და სათავეანებელი ეროვნული გმირი, რომელმაც მთელი თავისი დაუშრეტელი შემოქმედებითი ნიჭი, ძალა, ენერჯია, ცოდნა და გამოცდილება, ზვარაკად მიიტანა რუმინელი ერის თავისუფლებისა და მართლმადიდებლური მრწამსის სამსხვერპლზე. თავისი მდიდარი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე, ეს სწორუპოვარი და ფასდაუდებელი, როგორც სასულიერო-საეკლესიო, ასევე საერო-პოლიტიკური მოღვაწე, შესაშური ძლევა-მოხლეობით წინ აღუდგა ერთი მხრივ, თურქ-ოსმალთა აგრესიული ურდოების მიერ წარმოებული, დიდმპრობლური ექსპანსიური ზრახვების განხორციელებას, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის მოსახლეობას გამუსლიმანებას უქადდა, ხოლო მეორე მხრივ, რომის პაპის კათოლიციკური პეგემონიის კამპანიას, რაც ახლო პერსპექტივის მიხედვით, დანარჩენი პროვინციების გაკათოლიკებას მოასწავებდა. ამდენად რომისა და სტამბულის ფარული გარიგების გეგმა სრულად ნათელი და არაორაზროვანი იყო, რომლის მსგავსი პრეცედენტიც მანამდე უკვე შედგა, ყოფილი იუგოსლავიის ძირძველ მიწაზე, სადაც ბოსნიელები მუსლიმანურ რჯულზე მოექცნენ, ხორვატები კი კათოლიკეებად და ამით მოხდა სერბული სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მთლიანობის იმგვარი ხელყოფა, რამაც მთელი თავისი ტრაგიზმით თავი იჩინა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც იუგოსლავია ნაწილ-ნაწილ დაქუცმაცდა ამჟამინდელი დასავლური გლობალისტური წესრიგის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონტექსტში. რომ არა წმინდა ანთიმოზ ივერიელი და მისი ღვთაებრივი მისიის ეპოქალური მსჯავრის ზეციური განჩინება, რუმინეთსაც იგივე საგალალო ხვედრის გაზიარება არ ასცდებოდა. აი,

ამიტომაც უნდა იყოს და არის კიდევ ანთიმოზ ივერიელი, არა მარტო რუმინელი მართლმადიდებლებისათვის გმირი და წმინდანი, არამედ ქართველთათვისაც, რამდენადაც ჩვენს თავზე ვიწვინეთ ყველა ის სამინელი ტკივილი, წუხილი, უბედურება და მსხვერპლი, რის გამოც განუსაზღვრელი ხნით დაკარგეთ სამხრეთ-დასავლეთი წალკოტი მიწა-წყლის საუკეთესო სანახები, ადგილ-მამულები, ციხე კოშკები და ეკლესია-მონასტრები, საუკუნოვანი საფიცარნი და სალოცავნი ჩვენნი.

დავკარგეთ იმიტომ, რომ ვერ აღმოვჩნდით ჩვენი გმირი მამულიშვილებისა და დედა-ეკლესიის მიმართ ისეთივე ერთგულ-ერთსულოვანი, შეუდრეკელი, დარაზმულნი და მხნენი, ვითარცა რუმინულ-ვალახელნი, რომელთაც ჩვენგან განსხვავებით, ბევრად უკეთესად უწყვიან რჩეულთა ფასი და ყადრი, როგორც თავიანთი, ასევე სხვისა, რომლის საუკეთესო ნიმუშიც გახლავთ წმინდა ანთიმოზ ივერიელის უდიდესი ეკლესიური და სახელმწიფოებრივი ღვაწლის აღიარება და დაფასება ჩვენი ბალკანელი ქრისტესმიერი ძმების ჭეშმარიტი ღვთისსიყვარულთა და დიდებუებოვნებით.

ქართული დელეგაცია, ამ დღესასწაულისადმი მიძღვნილ გრანდიოზულ რელიგიურ და სამეცნიერო ღონისძიებაში, მონაწილეობდა იმაზე უფრო მოკრძალებულად მცირე წარმომადგენლობით, ვიდრე ეს დაგეგმილი და გათვალისწინებული ჰქონდათ მასპინძელი ქვეყნის ორგანიზატორებს. სტუმართა შორის ბრძანდებოდნენ: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვეციანიძე, საქართველოს ელჩი რუმინეთში, გიორგი წიქარიშვილი, თბილისის საქალაქო მუნიციპალური საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ალიბეგაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყაროთმცოდნეობისა და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის დეპარტამენტისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული წმინდა თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი, არქიმანდრიტი პროფესორი ადამ (ვახტანგ) ახალაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი ქეთევან პავლიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, რამაზ შენგელია, და ბოლოს, თქვენი მონა-მორჩილი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი ბადრი ფორჩხიძე. ამით გარდა, სამეცნიერო სიმპოზიუმში მონაწილეობდა აგრეთვე რამდენიმე დოქტორანტიც, პროფესორების: ქეთევან პავლიაშვილისა და მარიამ ჩხარტიშვილის ხელმძღვანელობით. სიმპოზიუმზე წაკითხულ იქნა მოხსენებები მხოლოდ რუმინულ და ინგლისურ ენებზე. ჩემი მოხსენების სათაური გახლდათ: „წმინდა ანთიმოზ ივერიელი — მართლმადიდებლური ქრისტიანობისა და ეროვნულ-სოციალური ღვაწლის დიდი თაოსანი" (Anthimos the Iberian - The Great Initiator of Orthodox Christianity and National Public Contribution). ყველა ზემოთდასახელებული ქართველი მონაწილე, თავ-თავიანთი მოხსენებებით წარდგენილ იყვნენ პირველ პლენარულ სხდომაზე. მოხსენებებმა ორგანიზატორ-მასპინძელთა და დამსწრე საზოგადოების ცხოველყოფილი ყურადღება მიიპყრო, რასაც მოჰყვა შესაბამისი პრობლემური კითხვები, უკლებლივ ყველა მომხსენებლის მიმართ, გამოითქვა საუკეთესო მოსაზრებები და დადებითი შეფასებები, რაც მთელი ჩვენი დელეგაციის მიმართ დამსახურებულად გამოხატული პატივისცემის შესანიშნავი დადასტურება გახლავთ. იმედი მაქვს, რომ აღნიშნული წარმატება ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტისთვისაც ერთ-ერთ სასიკეთო და ანგარიშგასაწვე მოვლენად ჩათვლება, მისი შეუქცევადი წინსვლისა და მიღწევების ფონზე.

**ბადრი ფორჩხიძე**  
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის  
დეპარტამენტი  
ასოც. პროფესორი

ჯანო შენგელია

\*\*\*

მე წავალ, ჩემო, ცოტაც მაცალე,  
(მიმაქვს ჯვარცმული ჩემი ცხოვრება),  
გპირდები, წავალ, თუ შენს ნაწნავებს  
ჩემი თითები ემასხოვრებათ.  
ნისლშია ახლა ძველი ვერანდა,  
ლეწვენ ტოტებს ქართა შოლტები,  
მე წავალ, მაგრამ წაუსვლელადაც  
ღვთიიღვე ვხედავ, როგორ გმორდები.  
მე წავალ, ჩემო...

\*\*\*

დრო ნელა გადის.  
კარი ვისთვის დავტოვე ღია  
სარკმლიდან ხეთა ჩონჩხებია, უშნო ხედები,  
ვზივარ ბუხართან, შევექცევი დალობილ ხშიადს  
და ჩამომდგარი ვაგონივით ვცატივლდები.  
რაც იყო მორჩა.  
მოთმინების გაწვდენ ძაფები  
დავმარხე ყველა მოგონება, როგორც „გორიომ“,  
და მხოლოდ ყომრალ სიმართლევს დავეწაფები,  
თუ შენს თვალებში დავიკარგე უისტორიოდ.

### აფხაზეთი

აქ ჩემი ცაა, ჩემი მიწა, ჩემი მთებია,  
ეს ღრუბლებია ჩემი ჭერი, წვიმა - კედლები,  
აქ ზღვას მამების ძველ საფლავთან უერთდებიან  
მდინარეები, დუღუნით და ჩუმი ვედრებით.  
აქ მამაჩემის სისხლისფერი ყვავილებია...  
ნაწნავთ რხევა აღრენილი ქუჩის ქარები,  
როცა მამლები უთენია ავივლდებიან  
თბილ სიზმრებიდან უნებლიედ მივიპარები.  
აქ იმედია, ოცნებაა, ყველაფერია -  
ნაოჭებია ჩემი ბებოს (კანიონები),  
ბაბუს ჭადარაც იმ ძილივით შემოერია,  
როცა ჩვილები იავნანას გაიგონებენ.  
აქ დემერთი არის, ლოცვები და ძმაბიჭვებია,  
ცად ღრუბლებია ჩემი ჭერი — წვიმა - კედლები,  
როცა ნისლები კალთებისკენ აიჭრებიან  
ყური დატკბება მდინარეთა ჩუმი ვედრებით.  
აქ მამაჩემის საფლავია, ჩემი სახლია...

### ახლა, როდესაც...

ახლა, როდესაც იოლია თავი ფანჯრიდან გამოყო,  
ზიხლით დააფურთხო მტკრიან ტროტუარს,  
უყურო მოდის პროცესიას  
და თუ დაგჭირდა, ხელის აწვევით მიესალმო  
ნაცნობს.

დრო თუა, ამოახველო სხეულიდან გენიოსები,  
რომლებიც წერდნენ გალანტურად და ასე შემდეგ,  
პატრიოტიზმით ავსებული ღვინის ბოცები  
გაპატიოსნდნენ ნაბახუყვეს.  
ელოდო შედეგს თვალის გახელის,  
წლების წინათ დახუჭულ თვალის,  
ამ მძიმე სუნთქვით აყროლებულ პაერის ნარევს  
გაუაზრებლად შეისრუტავ თითქოსდა ძალით,  
ოთახში, სადაც შემოადგეს არავინ კარებს.  
გეტყვის - გვეშველა! ეპოქაა, დემერთია,  
თავი მოაბეს ამდენ სისულელეს და იდიოტიზმს...  
ფსიქიატრიულ შენობიდან გაქცეულ ამინდს  
ამსგავსებ

უცხო ქალაქებში დაკარგულ ტურისტს.  
რადგან უბრალოდ აბსურდია გქონდეს იმედი  
საშველის,

როცა პროტესტია ყოველი დილა,  
ღამის, რომელიც გაათენე და სენტიმენტად  
რაფებს პოხავდა დანახებით ამაყი წვიმა.  
ახლა, როდესაც იოლია იპოვო დემერთი,  
უყურო ტაძარს აივნიდან, რომ ხელი მხარზე  
დაგარტყას ვინმემ.

და ცოტათი სინდისის მერქანს ამდენი ბოლმის,  
ზიხლის შემდეგ გაუცვლეს გარსი,  
ალტერნატივით, დაკარგული ცხოვრების გეზით,  
ახლა, როდესაც იოლია მოიკლა თავი,  
ხედავდნენ ზეცას, მიტოვებულ ღრუბლების ენოს,  
უკანასკნელი ამოსუნთქვით წამოგცდეს „ამინ“,  
და არაფერი, არაფერი, მხოლოდ ბოლოსკენ  
მშვიერ ძაღლივით აგდევენოს ღუმილი ხალხის...  
ახლა, როდესაც იოლია, უნდა გარისკო,  
ჯანდაბას შენი უსახური, მტკრიანი სახლი.  
ფურთხის ღირსადაც არ ჩათვალო  
არცერთი ნერვის გლეჯვის მიხეზი.  
დრო მოვა და მორჩები წერას,  
ახლა, როდესაც იოლია გესმოდეს ბუერი,  
იცოდე, რა თქვა და უბრალოდ ამბობდე ვეღარ...



# სამხარო დანახლისი



მაგალი თოდუას გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. მას მთავარი დამსახურება ირანულ ფილოლოგიაში აქვს, მაგრამ დიდი წვლილი მიუძღვის საკუთრივ ქართულ სიტყვიერებასა და მთარგმნელობით საქმიანობაში, რომლის შესახებაც თავისი სიტყვა უნდა თქვან შესაბამისი დარგების პროფესიონალებმა. მე კი მინდა შევჩერდე განსვენებული მეცნიერის ქუთაისში მოღვაწეობის ზოგიერთ მომენტზე.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, მას შესანიშნავი ორგანიზაციული უნარი ჰქონდა. გარეგნულად მოსწონდა, რომ ის თითქოს ამ მხრივ განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდა. მაგრამ ძალიან კარგად შეეძლო დაენახა, რა სიახლეების გაკეთება იყო საჭირო მისთვის მინდობილ დარგში და ყოველი ღონისძიებით ცდილობდა მათ აღსრულებას.

როცა მ.თოდუა ქუთაისის უმაღლესი სასწავლებლის რექტორად დაინიშნა (1991 წ. ოქტ.) აქაური პედაგოგიური ინსტიტუტი ახალი გარდაქმნილი (10 თვის) იყო უნივერსიტეტად. მისი სტრუქტურები მხოლოდ იქმნებოდა. საუნივერსიტეტო ფაკულტეტები ჩამოყალიბების პროცესში იყო. მათი სრულყოფილი ჩამოყალიბება ახალი რექტორის ხელმძღვანელობით განხორციელდა. შეიქმნა: იურიდიული,

ეკონომიკური, აღმოსავლეთმცოდნეობისა და სამედიცინო ფაკულტეტები. შესამჩნევად გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა. საუნივერსიტეტო სტრუქტურების ახალი ეტაპი კი ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის ბოლონის პროცესთან შეერთების (2005 წლის) შემდეგ ჩატარდა.

საბჭოთა ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა არ დაეშვა ეროვნული უმაღლესი სასწავლებლების განვითარება გამდიდრება. ამ მხრივ ეფექტური ღონისძიება იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური შემცირება. რაც საშუალებას არ აძლევდა დაწესებულებების ხელმძღვანელობას გამოეჩინა ფინანსებთან დაკავშირებული ინციტატივები. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს ომამდელი წლებიდანვე ჰქონდა სამეცნიერო შრომების კრებულების გამოცემის უფლება. 1974 წლამდე გამოვიდა 34 ტომი. ამ დროიდან გამოცემა აიკრძალა. უნივერსიტეტად გარდაქმნიდან მ.თოდუამ იზრუნა „შრომების“ გამოქვეყნების აღდგენაზე. ამ მიზნით და ზოგიერთი სხვა საფინანსო საქმიანობის შესასრულებლად, მან ქუთაისის დიდი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან შექმნა უნივერსიტეტის დამხმარე საქველმოქმედო საზოგადოება (ხელმძღვანელი ელექტრო-მექანიკური ქარხნის დირექტორი არჩილ მურდულია). საზოგადოებამ

შემლო არამარტო დასახელებული კრებულების გამოცემის აღდგენა, არამედ, რიგი სხვა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებისათვის ხელშეწყობაც.

ინსტიტუტს არ გააჩნდა ბეჭდური ორგანო (გაზეთი), ვეკავოფილდებოდათ ხელნაწერი კედლის გაზეთით („საბჭოთა პედაგოგი“). მე და რამდენიმე ჩემი მეგობარი დიდი ხანია ვსვამდით უმაღლესი სასწავლებლის ბეჭდური პრესის დაარსების საკითხს. ამის თაობაზე მივმართეთ უნივერსიტეტის ახალ რექტორსაც. მან შეათანხმა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოებასთან, რექტორად დამნიშნა და გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1993 წლის მაისში. გაზეთი გამოდის ამჟამადაც. მი-

სი რექტორი ვიყავი 1999 წლამდე. ახლა ეს თანამდებობა უჭირავს ჩემს შემცველს, ასოცირებულ პროფესორს, მწერალ გია ხოფერიას.

განსვენებული მეცნიერის მიერ მიწერილი ქუთაისში განსრულებულ საქმეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანად მიგვიჩნია გელათის მეცნიერებათა აკადემიის აღდგენა.

საუნივერსიტეტო ტიპის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება გელათში არსებობდა უდიდესი ქართველი მეფის დავით აღმაშენებლის (1089-1125) დროიდან (1106) წლიდან. მისი არსებობის პირველ ხანებში გელათის აკადემია საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობდა. ეს აქტივობა მინავლდა საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის დაშლიდან (XIV ს-ის II ნახევარი) და საერთოდ შეწყდა XVI ს-ის 20-იანი წლებიდან.

რექტორად მოღვაწეობის დროს გადატვირთული მუშაობის მიუხედავად, ბატონმა მაგალიმ აქტიურად დაიწყო აკადემიის აღდგენისათვის ზრუნვა. ამ საქმეში მას ნაყოფიერი დახმარება აღმოუჩინა ქუთაისის მაშინდელმა პირველმა ხელმძღვანელმა თეიმურაზ შაშიაშვილმა. მათ საკითხი დასვეს საქართველოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის წინაშე. დიდმა მეუფემ ეს წამოწვება გაიზიარა, როგორც ზოგადსახელმწიფოებრივი საქმე. მან დაითანხმა იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ელუარდ შევარდნაძეც და 1995 წლის 14 მარტს თბილისში, საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციაში შედგა გელათის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ოფიციალური სხდომა.

მაგალი თოდუას აკადემიის დამფუძნებელ კრებამდე დიდი მუშაობის შესრულება მოუხდა. მან ირგვლივ შემოიკრიბა დამფუძნებელი წევრები (მზექალა შანიძე, დამანა მელიქიშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე, მიხეილ ქურდიანი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი და სხვ.). შეიმუშავა და დაბეჭდა აკადემიის წესდება და დებულება, ხოლო დაფუძნების შემდეგ გამოუშვა აკადემიის „მოამბის“ ორი კრებული.

1998 წლის 23 აპრილს, რომელზედაც

მეც ამირჩიეს აკადემიის ნამდვილ წევრად, უწმინდესმა და უნეტარესმა დაგვაგალა შეგვედგინა ნაშრომი ძველი და ახალი გელათის მეცნიერებათა აკადემიის შესახებ. მაშინვე გადაწყდა წიგნის ფილოსოფიური ნაწილი დაეწერა აკადემიკოს თამაზ ბუაჩიძეს, ღვთისმეტყველური - აკადემიკოს დამანა მელიქიშვილს, ხოლო ისტორია და დღევანდელი ამ სტრიქონების ავტორს. ნაშრომზე მუშაობის პერიოდში თ. ბუაჩიძე გარდაიცვალა, ხოლო დ. მელიქიშვილმა ორი სხვა წიგნის გამოცემაზე გადატვირთვის გამო უარი თქვა ახალი წიგნის ავტორობაზე. მე აღრევე დაკამათებე მუშაობა „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიასა და დღევანდელიაზე“, მაგრამ მისი გამოცემა შეფერხდა. იგი სამ ენაზე (ქართულ, რუსულ და ინგლისურზე) ცალ-ცალკე წიგნებად გამოიცა გელათის მეცნიერებათა აკადემიის 900 წლისთავთან დაკავშირებით 2004, 2005 და 2006 წლებში.

2002 წლის სექტემბრიდან დაიწყო „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის“ გამოცემა. მისი დამფუძნებელი და მთავარი რექტორი იყო აკადემიის პრეზიდენტი მაგალი თოდუა, ხოლო სანამ ჟურნალის გამოცემა ქუთაისის უკავშირდებოდა რექტორად გახლდით მე-12 ნომრის გამოსვლის შემდეგ ვითხოვე ამ თანამდებობიდან გათავისუფლება. ეს ორგანო გამოიცემოდა 2014 წლამდე. ამ დროიდან იგი გადაკეთდა „შრომათა“ კრებულად. ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი ნომერია გამოცემული.

მ. თოდუა გელათის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობისგან საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა 2007 წელს. იგი გარდაცვალებამდე დარჩა საქართველოს ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ირანისტიკის განყოფილების გამგედ. დასახელებული წლიდან მან დააფუძნა და მთავარი რექტორი იყო ჟურნალისა „ქართველოლოგია“.

*გიორგი მჭედლიძე*  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## გოჩა ძნელაძე

*დაიბეჭდა გოჩა ძნელაძის ლექსების კრებული „მზეს და გაზაფხულს ვენაცვალები“. მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე ლექსს.*

### ზმანება ბინდში

თავს ჩამოიხრჩობს ვიცი ამაღამ  
ჩემს სასთუმალთან მთვლემარე ღამე,  
ფიქრთა მორევის ჯვარს  
დაამსხვრევს  
სევდით გაბანგულ დღის სიმწუხარე.  
მთრთოლავ ბავთა ხმა კრთება  
ბინდში,  
ღრუბლები დავლურს უვლის  
მთვარესთან,  
მე კი მარტო ვარ დვეისოდენა  
ბინდში გასუდრულ სიმწუხარესთან.  
თვალეზდაშრეტილ ღამის  
ბინდ-ბუნდში  
ელვარებს შენი ეშის მირონი,  
სახელაწილ ვარსკვლავთა გუნდში  
გამომწყვდეულა ცა-საფირონი,  
ღვთით კურთხეული სულის საუნჯეც,  
გახსენ დახშული კარი გულისა  
და იგალობე სირინოზივით  
ჰანგი პირველი სიყვარულისა.  
ტრფობის ღადარში გათანგულ  
სტრიქონს  
გრიგალი აქცევს მსურვალე ალად,  
კალთებს უკოცნის ტრფობის ღთაება,  
ველურ ზმანებას - გარდაქმნილს  
ქალად.

კვლავ ჟღერს, ვით ჟღერდა ჰანგი  
ღვთიური,  
გულს რომ იმედად მიეხალისა:  
„ვარდის ფურცლობის ნიშანი არის  
და დრო ახალი პაემანისა“.

### ქუთაისს

ფრთხილარეც ლექსის სტრიქონებს  
რითმის მალამოს აცხებს მაისი  
და პოეზიის ცისარტყელაში  
მოკამკამე ნამს ჰგავს ქუთაისი.  
ვარდების ცეცხლში იწვის ქალაქი,  
მისი სურნელი გრძობებს ახელებს,  
სულ ხურჯინებით მოაქვთ ლექსები  
ამ ჩემს ქუთათურ ცისფერყანწილებს.

პატარძლივით მორთულა ჭომა,  
ყვავილთა ფიფქი აცვივა ხეხილს  
და ენოვება ქოჩორა ტალღა  
ტყვიისფერ რიონს - მკერდგადაღელილს.

მუზათა დიდო ნავთსაყუდელი,  
გვირგვინად გადავს აკაკის ნიჭი  
და ნუთი-ნუთზე თეთრი ხიდიდან  
კამარას შეჰკრავს პიკასოს ბიჭი.

ახლადფეხადგმულ ლექსის ნატერფალს  
არ შემოვბია ჯერაც მელანი,  
შენს დიდ წარსულს და ნათელ  
მომაჯალს  
ხმაშენყობილი ვუმღერო ყველანი.

### იზმორებოდა ღამე მუხებში

ჩუმიად დააცხრა დღის ნათელს ბინდი,  
(არ დასცდენია სიტყვა უხეში),  
და სიკვდილივით გაუცინარი  
იზმორებოდა ღამე მუხებში.

მიკოტის ხმა წყვიდადს აპობდა,  
სიზმრები ხანჯალს ცრემლში ლესავდა  
და კუზიანი უჩინმაჩინი  
ღვარძლის ნამცეცხვს პეშვით თესავდა,

სადღაც თეთრონი ტორავდა მინას,  
გრძელ სუდარაში იწვნენ ხნულები  
და პირმუეურავ ჭრილობად აჩნდა  
მინას აჩრდილთა ნაფხურები.

ირგვლივ ქარიშხლის იდგა სურნელი,  
ცხრა მთის გადაღმა კრთოდა ნათელი  
და განთიადის წინამორბედი  
ობოლ ცრემლივით ენთო სანთელი.


### ჩხავლარის ციხეს

ჩხავლარის ციხის ჭრილობა მენვის,  
საუკუნეებს აშობობს იარა,  
შენს ლოდს რამდენი კენჭიც შეერხა,  
ყველამ ჩემს გულზე გადაიარა.  
რით მანუგებებ მემღვქმეთის ცავ,  
შენგან სიშორე მხედა ბედის ხურდად,  
დარდის საბანში გახვეულ მამლუქს  
ჩხავლარის ღელე მახურავს ქუდად;  
ვერ იხეირებს არწივი ბარად,  
გეზული მზურა უპყრია მთისკენ,  
მე საჩხეურში დამმარხეთ, მაგრამ  
თავი მიქნით ჩხუტუნეთისკენ;  
შენი ქვევრების ბახუსით დამთვრალს  
დამრჩა გრძობები შეუნახავი,  
სათოფურებში ჩამდგარ ცრემლს ინმენდს  
უჩინმაჩინი მზეთუნახავი.  
იზმორებოდა საუკუნენი  
მაგ ქონგურებზე - გვირახთა ხერეღში,  
დღეს ყველა შენი მეციხოვნე ვართ  
და „მაჭახელა“ გვიჭირავს ხელში.  
სამოთხის კარებს თუ მომიხურავთ  
და ვით ცოდვილი ღმერთთან წარვსდგები,  
მე საჩხეურში მოვკვდები, მაგრამ  
მაჭახელაში მკვდრეთით აღვდგები.



### მრავალმხრივი მოღვაწეობით გამოჩენილი

(ბატონ ნოდარ ტაბიძის გარდაცვალების გამო)



აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, მასთან დაახლოების განსაზღვრულ უმთავრეს ფაქტორად პირველ ყოვლისა მაინც ის ფაქტი იქცა, რომ ბატონი ნოდარი გალაკტიონის სისხლისმძებრივ მემკვიდრე ბრძანდებოდა, დიდი პოეტის ღვიძლი ძმისშვილი, რომელმაც თავისი მრავალრიცხოვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი გალაკტიონოლოგიური ნაშრომებით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გენიალური მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისა და კიდევ უფრო მეტი სიღრმით შესწავლის საქმეში.

აღნიშნული მიმართულებით ბატონი ნოდარის მიერ გაწეულ შრომას უნიკალურს ხდიდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველ ყოვლისა ის ფაქტი სძენდა, რომ მან თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელი ბიძის გვერდით გაატარა, რის შედეგადაც უამრავი მასალა დაუგროვდა დიდი პოეტის როგორც პიროვნულ ყოფასთან, ისე შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით იგი ის ერთადერთი მკვლევარი ბრძანდებოდა, რომელმაც მხოლოდ მისთვის ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩინა გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი ლაბორატორიის არაერთი ახალი და მანამდე უცნობი მხარე.

ნოდარ ტაბიძის მრავალმხრივი სამეცნიერო და საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასების დროს იმ გარემოებასაც უსათუოდ უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ იგი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის ფართოდ აღიარებული მკვლევარი იყო.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამ მიმართულებით გაწეული ნაყოფიერი შრომის შედეგად მან ჩვენი მეცნიერება არაერთი ისეთი ნაშრომით გაამდიდრა, რომელთა მეშვეობითაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა აღნიშნული დარგის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

ამ მიმართულებით გაწეულ მის მოღვაწეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტიც სძენდა, რომ ბატონი ნოდარი ხანგრძლივი დროის განმავლობაში პრაქტიკულად იღვწოდა ჟურნალისტიკის სპეციალობის მაღალ პროფესიულ დონეზე დასამკვიდრებლად როგორც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი ამ ფაკულტეტის დეკანი ბრძანდებოდა, არამედ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, სადაც ამ სპეციალობის გახსნის პირველივე დღეებიდან მოყოლებული კითხულობდა ლექციებს.

ბატონი ნოდარ ტაბიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას სამეცნიერო კადრების მომზადების მიმართულებით გაწეული აქტიური საქმიანობაც წარმოადგენდა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით არაერთმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ გაიკვალა გზა მეცნიერებაში, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანიც ბრძანდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

პირადად მე ბატონი ნოდარი თავდაპირველად სწორედ ამ თანამდებობაზე

მისი ყოფნის პერიოდში გავიცანი და მისი უანგარო თანადგომისა და აქტიური მხარდაჭერის მაღლი ჩემი ორივე დისერტაციის - საკანდიდატოსიცა და სადოქტოროსიც - დროს ვიგრძენი ცხადად და აშკარად.

ნოდარ ტაბიძესთან ჩემი პიროვნული ურთიერთობისა და მეგობრული დამოკიდებულების წარუშლელ ეპიზოდებად მიმაჩნია ის შეხვედრები და რომანტიკული დღეები, რომლებიც მე და ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის ერთ ნაწილს გაგვიტარებია მასთან ერთად როგორც ქუთაისში მისი ჩამობრძანების დღეებში, ისე გალაკტიონის სახლ-მუზეუმში სტუმრობის დროს.

ამ ურთიერთობას განსაკუთრებულ ხიბლსა და რომანტიკას სძენდა ის ფაქტი, რომ გალაკტიონის დაბადების დღეს დიდი პოეტის სახლ-მუზეუმში მისულებს ბატონი ნოდარი ამ მუზეუმისაკვე ეზოში მდებარე საკუთარ სახლში მუდამ გაშლილი სუფრით გვეგებებოდა ხოლმე და რომანტიკული მოგონებებითა და ემოციურად ღრმად შთამბეჭდავი საუბრებით შეგვაკვდიოდა უკვდავი მგოსნის როგორც შემოქმედებით, ისე პიროვნულ სამყაროში.

რაოდენ გულსატკეპნი და სინანულით აღსანიშნავი, რომ ეს ყველაფერი უკვე წარსულად იქცა! ღმერთმა გაანათლოს და ნათელში დაამკვიდროს იმეორ სამყაროში გარდასული და დიდი ბიძის უკვდავ აჩრდილთან მიახლებული მისი სული!

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

## მარალ ხეთილგოსაგონარი

მეცნიერული ცოდნის დონით, გამოცდილებით, განსწავლულობით და ასაკითაც ბრძენკაც ბატონი მაგალი თოდუა 66 წლის ასაკში მოევიდნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს რექტორად და თავისი ამაგიტ წარუშლელი კვალი დატოვა დასავლეთ საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის მექანდ აღიარებულ ამ უმაღლესი სასწავლებლის ისტორიაში. ამ სასწავლებლის ნამდვილ საუნივერსიტეტო რელსებზე გადაყვანა სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული.

პროფესორ მაგალი თოდუასთან, როგორც რექტორთან, მე როგორც გეოგრაფიის კათედრის გამგეს (ამ თანამდებობაზე მის მოსვლამდე ვიყავი არჩეული), მთელი მისი რექტორობის პერიოდში (1991-1996წ.წ.) ყოველთვის მქონდა ჭეშმარიტად ადამიანური ღირსებებით შემკობილი საქმიანი ურთიერთობა. ამ ურთიერთობაში, მე რაც არ უნდა ვეცადო ვერ აღმოვაჩენ იოტისოდენა ხინჯს. მასთან სამსახურებრივი ურთიერთობა ყოველთვის იყო სიყვარულით და მისი სამაგალითო ადამიანური სითბოთი გაჯერებული. მის კაბინეტში რომ შევიდოდი გაღიმებული ადგებოდა, ხელს ჩამომართმევდა, თავის სკამიდან ჩემს გვერდით დაბრძანდებოდა. დედამამიშვილური სიყვარულით დამიწვებდა საქმიან საუბარს, რომელიც შეეხებოდა პირველყოვლისა კათედრისა და გეოგრაფიის სპეციალობის სამომავლო ამოცანებს, მთელი უნივერსიტეტის სასწავლო-სააღმზრდელო-სამეცნიერო პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. ყოფილა ისეთი სიტუაცია-მომენტები, როცა მისგან მიმიღია ადამიანური რჩევა-დარჩევა, თანადგომა, ზრუნვა, ყოველად უანგარო დახმარება. როგორც აღიარებულ მეცნიერს და მრავალწახნაგოვანად განათლებულ ფრიად ერუდირებულ

დევალმოსილ პიროვნებას, საუნივერსიტეტო საქმის ღრმად მცოდნეს, ჰქონდა საკუთარი კონცეფციები, რომელთა განხორციელება სასიკეთო საქმე იყო უნივერსიტეტისათვის.

ამჟვენიური არსებობის (ცხოვრების) არშინით, რომ გავზომოთ, ბატონი მაგალი თოდუა ის ანგელოზ-მზეკაცი გახლდათ, რომელიც პირველყოვლისა ამართლებდა ადამის მოდგმის არსებობას დედამიწაზე, რექტორობის ტიტულს ამკობდა და ალამაზებდა თავის სამაგალითო ადამიანური მოქმედებებით, უმწიკვლო ზნეობით, უბრალოებით, გულისხმიერებით, განსწავლულობით, მაღალი კულტურით, მეცნიერული დიპაზონით, მამულაშვილობით. ასე, რომ იგი ანათებდა და ათბობდა არა მარტო ჩვენს უნივერსიტეტს, არამედ სრულიად საქართველოს. მან დიდი ადამიანური პარამეტრებით და ღირებული მეცნიერული პროდუქციით მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს კულტურის ისტორიაში და მსოფლიო რეზონანსს ირანისტიკასა და სპარსული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნაში. მასზე, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერზე და ყოველმხრივ დადებითი სპექტრით შემკობილ მოღვაწეზე, რაგინდ მაღალფარდოვანი ისტყეები არ უნდა ვიხმართო, არამც და არამც არ იქნება გადაჭარბებული.

იგი ის ცოცხლეში ავიდა ჩრდილი-უკარებელი დიზსების ოლიმპზე-კვარცხლებეკზე. ერთი სიტყვით, ჩვენი სასწავლებლის საუნივერსიტეტო მშენებლობაში მისი ამაგი და დამსახურება გმირობის ტოლფასია. ვიმეორებ, რექტორობა კი არ ამალღებდა მას, პირიქით, იგი ამშვენებდა ხელმძღვანელის, კონკრეტულად კი რექტორის ცნების არსს, რამეთუ თანამდებობით კბილებშეკრული, წარბოღუშული, პოზიორი, ბიუროკრატიის ამპლუაში მყოფი მაგალი არავის და არასოდეს

უნახავს, რითაც სამაგალითო ეტალონის როლში გვეკვლინებოდა. როცა ვლაპარაკობ ბატონ მაგალის მრავალწახნაგოვან პიროვნებაზე, ნიშნდობლივი მაინც ისაა, რომ იგი ერთდროულად გახლდათ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული, ერუდირებული, ფრიად განსწავლული, ფართო დიპაზონის მეცნიერ-სპარსოლოგი, პატარა საქართველოს დიდი შვილი. ასეთი მრავალმხრივი სპექტრის მქონე ფენომენი ბუნებრივი იშვიათობაა. ცხადია, ბატონ მაგალი თოდუას ასეთი შეფასება ჩრდილს არავის აყენებს, რამეთუ ბუნებრივად ყველა ადამის შვილი ინდივიდუალურად და ჩარხზე მოჭრილი ლეტალივით არ გვანან ერთმანეთს. დაბოლოს, ბატონ მაგალის საბოლოო შეფასებისათვის გალაკტიონი, რომ მოვიშველიოთ - „რა ბევრი არის ადამის შვილი, რა ცოტა არის ადამიანი“, აქაც ამ ცოტა ადამიანებშიც, ბატონი მაგალი მშვენიერების ოაზისით გამოიყურებოდა, რამეთუ იგი ზუსტად პასუხობდა დიოგენეს ფარნით საქებარი ადამიანის მოთხოვნებს.

ახლა რამდენიმე სიტყვა მის ოჯახურ მრწამსზე. ბატონ მაგალის ხშირად უთქვამს ხოლმე: ჩემს შვილებს სულ ამას ვუბნებ, ჩემი სიმიდრეა ჩემი პატიოსნება და მას თვალისწინებით უნდა გაუფრთხილდეთ, ე.ი. პატიოსნებას კარგი მოვლა-პატრონობა სჭირდება. მართლაც, მარად კეთილმოსაგონარი ბატონი მაგალი ამ ბრძნული შეგონება-დევების ერთგული დარჩა მისი ლამაზი და წმინდა-შეუბღალავი სიცოცხლის ფინალამდე! ვაჟა და დიდება მის რაინდულ სულს, სახელსა და უკვდავებას!

ბატონ მაგალის არ მოწონდა ის პიროვნება ვინც სიკეთეს ივიწყებს. უთქვამს ხოლმე, ძალი იმასოვრებს სიკეთეს და სირცხვილი არაა, რომ ადამიანმა დაივიწყოს იგი?! და საამისოდ მოყავდა სპარ-

სული სიბრძნიდან რითმები, რომელიც მის მიერ იყო თარგმნილი: „ძაღლს თუ ერთხელ ძვალს გადუგდებ ახსოვს მისი გემო, იგი აღარ შემოგიყვებს თუგინდ ჯოხით ცემო“..

ბატონ მაგალის სასტიკად ეჯავრებოდა შური დაა სიძულვილი, და ამ მიმართებით მოყავდა ასეთი მაგალითიც: ერთ-ერთ ჩინურ ზღაპარში წავიკითხე: მეზობლად ცხოვრობს ორი ოჯახი - კეთილი და ბოროტი. ბოროტს, უპატიოსნოს, სასტიკად ძულს კეთილი და პატიოსანი და სრულიად უსაფუძვლოდ უჩივის ყველა ისტანციაში, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდა, ამიტომ ერთ ბნელ, უმოფერო და ქარიან ღამეში აღვიძებს ვაჟს და ეუბნება: აი, შვილო ეს დანა! მომჭერი თავი და გადამაგდე მის ეზოში, რომელიც ცხადია, მას დაბრალებდა, და ახლა ხომ მაინც მოეღება ბოლო და დაიჭერენო!. აქ, კეთილისადმი ბოროტი კაცის შურისა და ზიზღის აპოგეაა გამოხატული და სიძულვილის უსაზღვროებაზე დაღადებს. ამ ზღაპრის არსი ისაა, თუ სადამდე მიდის ბოროტი კაცის ავბედითი შურანობის საზღვარი, რაც ყოველად სამარცხვინოა ადამის მოდგმის ისტორიაში.. ამ მაგალითის მოტანით ბატონი მაგალი მთელი არსებით გმობდა ყოველგვარ ბოროტებას და მთელი შემართებით ხმალამოდებულ იბრძოდა სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებისათვის. კეთილი ადამიანის უნიკალური მაგალითი (ნიმუში) პიროვნულად უფრო ბძანდებოდა იგი. მასთან ურთიერთობა ძალას გამატებდა, გახალისებდა, გამკობდა, სიცოცხლის სტიმულსა და ხალისს განიჭებდა, დედამიწაზე ადამიანის გაჩენას შეგავსებდა.. მარად კეთილი მოგონება და უკვდავება მის უღამაზეს ღმერთკაცად ყოფნას ჩვენს ცოდვილიან დედამიწაზე!

ოთარ ჩხეიძე



# ამაგლარი მაცნიერი და პალატი



წავიდა ჩვენგან ქიმიის კემისტი ქიმიკი და გულშემოთხივარი, პრინციპული და უანგარო, თავის პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული, ვალდობილი, ამაგლარი მეცნიერი და პედაგოგი, თაობათა აღმზრდელი, მოსიყვარულე, თანმდგომი, ბუნებით არისტოკრატი, ღირსეული მეუღლე, სანიშნო დედა და ბებია, შესაშური სულიერი და ფიზიკური სილამაზის, დარბაისელი, კოლორიტული ხეყვითი ქართველი ქალი, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ერისა და ქვეყნის წინაშე ამაყად ეკვლია თავაწეულს.

პედაგოგიური საზოგადოება ამავობა და კვლავაც იამაყებს პროფესორ ელენორა ვიფიანის მიერ გაკეთებული ნათელი გზით. იგი ყოველთვის მისაბადი და სამაგალითო იყო შრომითა და მაღალი მოქალაქეობრივი კულტურით არამარტო მის მიერ აღზრდილი თაობებისათვის, არამედ მთელი ქიმიური საზოგადოებისათვის. გარეგნობით, მანერებით, თავდაჭერილობით იყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მშვენიერი.

ელენორა ვიფიანი დაიბადა 1929 წ. თბილისში. 1951 წ. დაამთავრა ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინს-

ტიუტი ბუნებისმეტყველების სპეციალობით. როგორც წარჩინებული სტუდენტი ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაინიშნა ქიმიის კათედრაზე ანალიზური და არაორგანული ქიმიის ლაბორანტად. 1973 წ.დაიცვა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ბიოქიმიამში. 1974 წ.მიენიჭა დოცენტის წოდება. 1985 წ. დაინიშნა ქიმიის კათედრის გამგის თანამდებობაზე. 1996 წ. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ქართული ჩაის კულტურაში ტანინების, მღებავი და მთრთმეღავი ნივთიერებების შესწავლა.

ქალბატონი ელენორა ახალგაზრდობაზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებდა თავისი შინაარსიან ცხოვრებას. იყო სტუდენტთა გულთამხილავი, მათი ავ-კარგის თანამოხიარე. სწორედ მისი რჩევა-დარიგება გაიხადეს მეგზურად მისმა აღზრდილებმა. ქალბატონმა ელენორამ მთელი თავისი შგნებული ცხოვრების აზრი სტუდენტების სწავლა-აღზრდისათვის გაწეულ შრომაში გალია. ვინ დათვლის, რამდენ სტუდენტს გაუვლია მის ხელში, რამდენი ხასიათის და მისწრაფების ახალგაზრდაც უნახავს, რამდენი სულში ჩაუხედავს, რამდენისათვის გაუტანებია დეობრივი ზრუნვა. ტკბილი ოჯახიც ჰქონდა: აწვანსეზრებული ბატონი ჯუმბერი მხარში ედგა მეუღლეს . ორი სასახლე ქალიშვილი გამოზარდეს. უფროსი მარინა - ექიმა, ხოლო ირინა - ქიმიკოსია, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების წარმატებებითაც ტკბებოდნენ ისინი.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის დეპარტამენტის, თანამშრომლები დიდი მწუხარებით მოიგონებენ იმ ადამიანს, რომელმაც უნივერსიტეტში იმუშავა სამოცნე მეთი წელი და ქიმიის კათედრის გამგის თანამდებობაზე იღვწოდა თითქმის ორი ათეულ წელს. მისი დაუღალავი შრომითა და ხელმძღვანელობით მოეწყო ქიმიის რამდენიმე ლაბორატორია. გამოჩნეულია მისი როლი მაღალკვალიფიცირებული ქიმიკოსი კადრების აღზრდის საქმეში. მთელი მონღომებით უნერგავდა ახალგაზრდებს ქიმიური მეცნიერებისადმი

სიყვარულს. ლაბორატორიის შექმნა და განახლება საჭირო მასალით, მაღალ ღონეზე ლექციების ჩატარება ეს იყო მისი საყვარელი საქმე.

ქალბატონი ელენორა მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და რესპუბლიკურ სამეცნიერო ფორუმში, კონგრესსა და კონფერენციაში. იგი არის მრავალი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და სამეცნიერო შრომის ავტორი. საუნივერსიტეტო პრემია მიიღო მისმა წიგნმა „ქიმიური ელემენტებისა და მათი ნაერთების მნიშვნელობა და ბიოლოგიური როლი“. იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა მიმღები კომისიის თავჯდომარედ ქიმიამში, კითხულობდა საჯარო ლექციებს და მოხსენებებს. ნიჭიერი ბიოქიმიკოსის მიმზიდველი ლექციებით მოხიბული იყო სტუდენტი ახალგაზრდობა, ხოლო მისი სისადავე, გულისხმიერება, მაღალი ზნობა ყველა ჩვენგანს ხიბლავდა. „მეცნიერი მეცნიერებას ხელისშეწყობის სიყვარულის გამო უნდა სწავლობდეს. სწორედ ამიტომაც იგი ყველგან და ყველაფერში ამაღლებულს, პოეტურს ეძებდა. შეუძლებელია დააიწეღეს ქალბატონი ელენორას პიროვნება იმ ადამიანს, ვისაც მისთვის მოუხმენია ან მასთან უმუშაოა. იგი ყოველთვის და ყველგან სიკეთეს თესავდა, ადამიანთა მოღვმის დიდ სიყვარულს ამქლავნებდა, ბოროტებასა და უსამართლობას ვერ იტანდა, დაუნდობლად ებრძოდა მას, ახალგაზრდობას მუდამ თავს ევლებოდა. მთელი ცხოვრება სიყვარულად და სანთლად იწვოდა, სიხარულად და სიკეთედ თოვდა. უნივერსიტეტის უკეთესი მერმისისათვის დაუღალავად იღვწოდა. მას კიდევ შეეძლო მრავალი ნათელი საქმის გაგრძელება. თითოეულ მის სიტყვაში იყო უდიდესი ნუგეში, სითბო და სიყვარული. ეს ყოველივე მასთან შემხვედრ ადამიანში ბაღებდა კეთილმოშურნობისა და ხვალისდღეობის დღის იმედს.

ქალბატონი ელენორა ადამიანური ღირსებათა ისეთი თაიგული იყო, რომლის მსგავსი ბუნებაში იშვიათად მქონდება. მან ათეულობით წელი ატარა ლამაზი ტვირთი-ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილური საქმე.

მან ხომ ცხოვრებაში მრავალ ახალფენად-გმულს შეაშველა თავისი ძლიერი მარჯვენა და ცხოვრების ფართო შარავზაზე გაიფენა, გზა გაუკაფა მეცნიერების მწვერვალებსაკენ მიმავალ მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას. მან ცხოვრების გზა შესაშური სიღინჯით, ღირსებითა და სიღარბისლით გაიარა. ჩვენ, მისი მოწაფეები, გავყვებით იმ გზას, რომელზედაც მან დაგვავენა. დაუფიქრდებითა კიდევ უფრო მოგვენატრება.

ჩვენ, ქართველებს, ერთიადიმავე ფაქტის - სულის ხორციან გაყრის აღმნიშვნელი ორი სიტყვა გვაქვს - სიკვდილი და გარდაცვალება. სიკვდილი გარეწარი სულის გაძევებაა ამ სოფლიდან. გარდაცვალება კი სამუდამო განსასვენებელში, საუფლოში გადასაცვლევებაა მხოლოდ. ქალბატონ ელენორას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა თავისი საყვარელი ქუთაისისათვის პოეტ ანდრია სინაურის შემდეგი სიტყვები: „ქუთაისო, შენს უბეში მხოლოდ გარდაცვალებები და სიკვდილი არ მოკვდები არასდროს“. ქალბატონ ელენორას დაკრძალვის დღეს ასობით მადლიერმა ადამიანმა დამსახურებულად გამოხატა თავისი სიყვარული და პატივისცემა ქალაქის რჩეული და ღვაწოსილი პედაგოგის მიმართ.

მრავალი საუკეთესო პიროვნული თვისების გამო თანამოაზრეები, მეგობრები, კოლეგები, მადლიერი მოწაფეები, მისი საფიცარი ოჯახის წევრებთან ერთად ცრემლებით დაკეშვიდობებუთ ამაგლარ აღმზრდელს, ქიმიასა და სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ მამულიშვილს. ადამიანებისა და სტუდენტის ახალგაზრდობის მოტრფიელი ადამიანის ხსოვნას სამუდამოდ შეინახავენ მისი კოლეგები და მრავალრიცხოვანი მოწაფეები. იგი მარად დარჩება ჩვენს გულში ძალზე ტკბილ და სევდიან მოგონებად. საუკუნო იყოს პროფესორ ელენორა ვიფიანის ხსენება.

*მანუჩარ ჩიქოვანი  
ქალბატონი ელენორა ვიფიანის  
აღზრდილი აღზრდილი ქიმიკოსების  
სახელით*

## პეტრე სირბილაძე



გარდაიცვალა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის უზუცესი წარმომადგენელი, ღვაწლისილი მეცნიერი და პედაგოგი, უძლეული სკოლის დამსხურებული მუშაკი, დიდი სამაშულო ომის ვეტერანი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოსა და მედლის მფლობელი, ღირსების ორდენის კავალერი, პეტრე გიორგის ძე სირბილაძე.

პეტრე სირბილაძე დაიბადა 1922 წლის 29 ოქტომბერს, ბაღდადის რაიონის სოფელ წითელხევში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე ომმა მოუსწრო და ჯარში გაიწვიეს, სადაც 1946 წლამდე მსახურობდა. იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე. მიღებული აქვს მრავალი საბრძოლო ჯილდო. ომიდან დაბრუნების შემდეგ შევიდა ქუთაისის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1949 წელს და სწავლა განაგრძო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ენისა და ლოგიკა-ფსიქოლოგიის სპეციალობით. 1953 წელს დაამთავრა ინსტიტუტი და აკად. ა. ბოჭორიშვილისა და პროფ. შ. ჩხარტიშვილის რეკომენდაციით, დატოვებული იქნა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის უფროს ლაბორანტად. 1958 წელს დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. პ. სირბილაძემ 1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა პედაგოგიურ მეცნიერებათა (ფსიქოლოგიაში) კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (მეცნიერ ხელმძღვანელები, აკად. ა. ბოჭორიშვილი და პროფ. შ. ჩხარტიშვილი).

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, პ. სირბილაძე დატოვებს დ. უზნაძის სახელობის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, მაგრამ მცირე ხანში, ოჯახური პირობების გამო, იგი დაბრუნდა ქუთაისში და მუშაობდა განაგრძო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრაზე. ჯერ უფროს მასწავლებლად, შემდეგ კი დოცენტად. წლების განმავლობაში მას მიჰყავდა სალექციო კურსები ზოგად ფსიქოლოგიაში, პედაგოგიაში, ასაკობრივ და პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში, საოჯახო ცხოვრების ეთიკა-ფსიქოლოგიაში. ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას ფსიქოლოგიის მიმართულებით. 1974-1986 წლებში იყო პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და პოლიტექნიკურ-ესთეტიკური აღზრდის კათედრის გამგე. 1986-92 წლებში იყო პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი, ხოლო 1992 - 2008 წლებში ჯერ ფსიქოლოგიის კათედრის, შემდეგ კი ფილოსოფია - ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დოცენტი. 2008 წლიდან პეტრე სირბილაძე პენსიაზე გავიდა.

ექტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, პეტრე სირბილაძე ნაყოფიერად მუშაობდა მეცნიერებაში და არაერთი ნაშრომით გაამდიდრა ქართული ფსიქოლოგია. გამოაქვეყნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და ორი მონოგრაფია. მონაწილეობდა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. მისი მეცნიერული ინტერესები მოიცავდა განსწობის ფსიქოლოგიის, განვითარებისა და განათლების ფსიქოლოგიის, საოჯახო ცხოვრების ფსიქოლოგიის პრობლემატიკას.

პეტრე სირბილაძე აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პერიოდულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა მისი წერილები ქვეყნისათვის აქტუალურ და საჭირობოლო საკითხებზე. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ფსიქოლოგთა საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, იყო საზოგადოება „ციდნის“ ლექტორი და საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

წავიდა ჩვენგან ომისა და შრომის ქართველი გამოვლილი მხცოვანი პედაგოგი და ნუგეზად დაგვიტოვა იმის შეგნება, რომ წელთა სიუხვე აქტიურად მოღვაწე ადამიანთა ხვედრია.

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი  
ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ფილოსოფია-ფსიქოლოგიის დეპარტამენტი*

## თამარ ჩარხვიანი



ყველაფერი ამ სამყაროში სიკვდილ-სიცოცხლის კანონზომიერებას ემორჩილება. შეიძლება ძალიანაც გვინდა, რამე შევცვალოთ, მაგრამ ამაოდ... ადამიანები მანც მიდიან და გვტოვებენ... რჩება ტკივილი, მონატრება და დიდი სიცარიელე, რომ აღარ არის... ასეთი განცდები მამინ უფრო მძაფრდება, როცა ახლობელი ადამიანი გამოგაკვდება ხოლმე... თემურ, შენმა წასვლამ დიდი სიცარიელე დატოვა ჩვენს გულში, გადამდები იყო შენი ღიმილი, იმედი, ხან გვარიგებდი, ხან გვაბრაზებდი, და ასე გადიოდა დღეები შენთან ერთად. ახლა შენს გარეშე ვართ და ძალიან ცუდია. ყველას გვენატრები და გვტკივა უშენობა.. ნათქვამია, ადამიანი მანამ ცოცხლობს, სანამ ვინმე მოიგონებს... მშვიდად განისვენე, შენ ძალიან ბევრი მოგონებელი გყავს...

*უნივერსიტეტის გამომცემლობა*



# „საქმიან შინაში“



გაგილიძეს, გაცისკრონდებ, ვარსკვლავით გაბრწყინებულ თვალებს შემოგანათებს, ამბავს შეგვიტყობს და დაუზარებლად, დაუმადლებლად, ახალგაზრდული ენერჯით გაემართება წიგნთსაცავისაკენ, რომ მკითხველის სურვილი დააკმაყოფილოს. სამაგიეროს არაფერს ითხოვს. სულ ზეპირად იცის, სად, რომელ განყოფილებაში, რომელ თაროზე, რომელ მხარეზე დევს ესა თუ ის წიგნი და, თუ ხელცარიელი დაბრუნდა, იმას მაინც შეგატყობინებს, ვის აქვს წაღებული და როდის უნდა მოიტანოს.

აქაურ თანამშრომელთა შორის უფროსია. ახალგაზრდებს შორის ფუსფუსებს. ბიბლიოთეკაში შესვლას შეგავსებებს და საქმე რომ არ გქონდეს, იმ კორპუსში მყოფი, სადაც სამეცნიერო ბიბლიოთეკის საცავისა და მომსახურების განყოფილებაა, მონიშნავს, რომ ქ-ნი მედეა ბაბუნაშვილი ინახულო და დაელაპარაკო.

მადლობა მას ასეთი მიზიდულობისათვის, გულისხმიერებისათვის, კარგი ქალებისა და თანამშრომლობისათვის.

აქ სხვებიც ასეთივე გამრჯეები, პასუხისმგებლობით სავსეები, მიმზიდველები, ყურადღებიანები, საქმისათვის თავდადებულები და მშრომლები არიან. წამით არ არის მათი მოსვენება. შესვენების დროსაც კი მზად არიან, გემსახურონ. აქ სულ საქმიანი ურთიერთობაა.

რამდენჯერ მოვინდომეთ სხვადასხვა დღესასწაულის წინ ბიბლიოთეკის ამ გამრჯე თანამშრომლებზე (მზია მაჭარაშვილი, მაია მახარაძე, უნა შავგულიძე, მარინე კაკაბაძე) დაგვეწერა სტატია, წარმოგვეჩინა მათი საქმიანობა და ყველაფერი კარგი გვესურებინა.

სწორედ რომ ამ თანამშრომელთა შრომისუნარიანობასა და გულისყურზე ძირითადად დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის უმთავრესი საზრუნავი — კარგი განათლების მიღება. მათი გულისხმიერი დამოკიდებულება უადვილებს სტუდენტებს, მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბების მეტად მნიშვნელოვან პროცესებს. ისინი დღეობოდ უდგანან ჩვენი ახალგაზრდების დასახული მიზნის მიღწევის საქმეს. მათ მიერ დღემდე ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე გაკეთდა და კეთდება ამჟამადაც. ეს კი ხელს უწყობს არა მარტო სტუდენტების, არამედ პროფესორ-მასწავლებლების მაღალ მეცნიერულ საქმიანობასაც. შეიქმნა ძველნაბეჭდი და უნიკალური წიგნების საცავი, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა წლებში დაბეჭდილი წიგნები. ამ დამაბულ საქმიანობასთან ერთად ბიბლიოთეკის თანამშრომლები ახერხებენ ახალ ინდექსაციას და დასვლასაც. მოქმედებს ელექტრონული ბიბლიოთეკა. შემოიღეს

ელექტრონული ვერსიით წიგნების წინასწარი დაჯავშნა. სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამდიდრდა ახალი მეცნიერული ლიტერატურით. ამ ყველაფერს სათავეში უდგას საქმეში კარგად გარკვეული და ავტორიტეტული ახალგაზრდა დირექტორი გიორგი ჭიჭინაძე.

საცავისა და მომსახურების განყოფილების დღევანდელი თანამშრომლები ნამდვილად ღირსეულად აგრძელებენ იმ საქმეს, რომელსაც აწარმოებდა მათი კოლეგები: მარია ჭელიძე, მერი ზედაშიძე, ლენა ფირცხალაშვილი და მანანა ჯანგაძე აკეთებდნენ. ისინი ხომ წლების მანძილზე აქ თავდადებით მუშაობდნენ და სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ნათელი დაადგეს მათს საფლავებს. მათი საქმიანი შეხვედრები მუდამ სამახსოვრო იქნება ყველასათვის, ვისაც ჯერ პედინსტიტუტსა და შემდეგ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში ემსახურებოდნენ.

უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკას დღეს ბევრი ღირსეული თანამშრომელი ჰყავს, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას მხოლოდ წიგნთსაცავისა და მომსახურების განყოფილებაზე შევანერებთ და ყველა აქ დასაქმებულ რჩეულს შორის ქ-ნი მედეა ბაბუნაშვილს გამოვყოფთ. ის 1940 წელს დაიბადა ქ. ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში. მამა — პავლე ბაბუნაშვილი, პედინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრის ასისტენტი, პარალელურად მასწავლო დაწესებულების პროფკავშირის თავმჯდომარედაც მუშაობდა, მაგრამ დიდი სამამულო ომის დაწყებამ შეცვალა მისი ფიქრები და ოცნებები და სამშობლოს სიყვარულით ანთებული, პედინსტიტუტის თანამშრომლებიდან ის თავისი სურვილით პირველი წავიდა საბრძოლველად, რითაც მაგალითი მისცა თავის კოლეგებს — პედინსტიტუტის ლექტორ-მასწავლებლებს. ომის დაწყებამდე ერთი წლის შემდეგ ბ-ნი პავლე კავკასიის მისადგომებთან მტერს შეეწირა და დედის ანაბარა დატოვა ერთი წლის პატარა მედეა, რომელმაც ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა პედინსტიტუტის ბიოლოგიის სპეციალობაზე გააგრძელა. იმ ხანებში უმაღლეს სასწავლებელში სიწვობა

არ იყო ადვილი საქმე. ქ-ნი მედეა იხსენებს, რომ პედინსტიტუტის მაშინდელ რექტორს ლუკა ჭელიძეს არ ავიწყდებოდა პავლე ბაბუნაშვილი — სამშობლოს მოყვარული და დიდი პატიოტი ადამიანი და უმაღლეს დარჩენილ მედეას ნამდვილი მამობა გაუწია — დაეხმარა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვაში.

მიიღო თუ არა სპეციალობა, ქ-ნი მედეამ 33 წელი ქალაქის 29-ე საშუალო სკოლაში იმუშავა ბიოლოგიის მასწავლებლად, შემდეგ პედინსტიტუტის ბიოლოგიურში მოეწყო ზოოლოგად. 1979 წლიდან პედინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნთსაცავისა და მომსახურების განყოფილებაში გადაიყვანეს და მას შემდეგ აქ საქმიანობს.

მხელი იყო ქ-ნი მედეასათვის ახალ თანამშრომლებსა და საქმესთან შეგუება, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ახალი საქმის შესწავლაში დიდი დახმარება გაუწიეს იმ პერიოდში საცავის განყოფილების გამოცდილმა და საქმის მცოდნე ბიბლიოთეკარებმა. „მათ ხელში ბევრი რამ ვისწავლე, ჩამოვყალიბდი. ჩემთვის არ არსებობდა სიძნელე, რადგან ისინი გვერდით მყავდნენ და ყველაფერს მასწავლიდნენ. მეც საქმე გულით შევიყვარე და მას შემდეგ ბიბლიოთეკის გარეშე ვერც კი ვძლებო“. დღეს ჩვენი გულთბილი და ჰუმანური ქალბატონი თვითონ ზრუნავს ახალბედა, დამწყებ თანამშრომლებზე და უადვილებს მათ ამ შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმის შესრულებას. ორი ვაჟკაცის დედისა და შვილიშვილების ოჯახში მისულ ბებიას კი საქმე იქაც არ ელევა.

ქ-ნი მედეას საცავის განყოფილების ყველა თანამშრომელთან ერთად ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და რკინისებრ ჯანმრთელობას. კვლავაც ასეთი გაბრწყინებული თვალებით, ხალისით, ადამიანების პატივისცემითა და საქმის სიყვარულით გაეგრძელებინოთ მათი სამსახურებრივი საქმიანობა, ისედაც საყვარელი განყოფილება დაემშვენებინოთ მათი საქმიანობით და ამით უფრო მიმზიდველი გაეხადოთ ჩვენთვის.

მრავალ ახალ სასწავლო წელს დაეხმაროს ყველანი ერთად, ძვირფასო მეგობრებო!

იზოლდა რუსაძე


## გილოცვა

### ერთი დეპარტამენტის ორი კაბარძალი — მაია მიქაუტაძე და თამარ ნინიძე

„აწ, შეილო, ღმერთმან თქვენ მოგცეს ათას წელ დღეთა გრძელობა, სვე-სვიანობა, დიდობა, კვლა ჭირთა გარდუხდელობა! ცამცა ნუ შეგცვლის, მოგზავდების თვით მისებრ შეუცვლელია!“  
(შოთა რუსთაველი)

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლის ხალისს, გამრავლებას, საამაყო შეილების აღზრდით გამოწვეულ დიდ სიხარულს. შეგექმნათ საუკეთესო ქართული ოჯახები.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი



საცავისა და მომსახურების განყოფილების თანამშრომლები: უნა შავგულიძე, მზია მაჭარაშვილი, მაია მახარაძე

მისამართი რედაქტორი **ზია სოფიანი**  
 რედაქტორის მოვალე **ლელა ჩოგოვაძე**  
 კორექტორები **თამარ გუგუშვილი**  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნინო პატარაია**

ჩვენი მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59  
 ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94  
 E-mail: atsugazeti@gmail.com

გამეთი აიწყო და დაკაბადონდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com